



გილოცავთ ფარმერის დღეს! 20 ნოემბერი ფარმერის დღეა!



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია:

„ქართული აგროტურისტების განვითარების ხელშეწყობა უკვე ათეულ წელზე მეტია სახელმწიფომ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე ათეულ წელზე მეტია იქმნება და ხორციელდება შეღავათიანი თინანსურ რესურსზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, თანამედროვე განათლებაზე, საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები; უმჯობესდება სამელიორაციო ინფრასტრუქტურა, მიზნობრივი მხარდაჭერით იზრდება გადაამუშავებელი და შემნახველი საწარმოების რაოდენობა. უკვე ათეულ წელზე მეტია ჩვენი ფერმერები და მეწარმეები, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ქმნიან ხარისხიან, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნად ქართულ პროდუქციას და აძლიერებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას.

2015 წლიდან, 20 ნოემბერს ფერმერის დღეს ყოველწლიურად აღვნიშნავთ. ამ დღეს განსაკუთრებულად, საზგასმით გამოვხატავთ პატივისცემას ჩვენი ფერმერებისადმი თავდაუზოგავი შრომისთვის, განვითარებასა და წინსვლაზე ორიენტირებისთვის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართული გამორჩეული პროდუქციის შექმნით და საერთაშორისო ბაზრებზე გატანით საქართველოს შესაძლებლობების წარმოჩენისთვის.

ფერმერებო, გილოცავთ! კიდევ მეტად გაძლიერებას, წარმატებებს ვისურვებთ!“

გვ. 2-3



ოთარ შამუგია ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ბაქოში, გაეროს კლიმატის ცვლილების მხარეთა კონფერენციაზე (COP 29) იმყოფებოდა

გვ. 4

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი სოფელ სასანი იმყოფებოდა. ოთარ შამუგია: „მსგავსი მასშტაბის პროექტი სასანიის რაიონის მიმართულებით, ქვეყანაში პირველად ხორციელდება“

გვ. 6-7

ქართული ღვინის პოპულარიზაცია საქართველოს ბაზრებზე

გვ. 8-9

დასავლეთ საქართველოს მევენახეობის ზონებისათვის ნაკლებად გავრცელებული ვაზის ადგილობრივი საღვინე ჯიშები

გვ. 10-11

წარმატების ისტორიები!

გვ. 12

რა კეთდება თბილისის ეროვნულ პარკში

გვ. 13

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნახშირის უკანონო გამოწვის 115 ფაქტი გამოავლინეს !!! რა უნდა ვიცოდეთ ხის ნახშირის წარმოებისას

გვ. 15

წყლის ხარისხის მონიტორინგი საქართველოში

მესამე კვარტალში სურსათის უვნებლობის სფეროში დარღვევის მაჩვენებელია 2,9% შეადგინა

გვ. 16

საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ცხოველთა და ფრინველთა ენდემური და სხვადასხვა ქვეყნისთვის დამახასიათებელი სახეობები



COP29
Baku
Azerbaijan
UN CLIMATE CHANGE CONFERENCE

ოთარ შამუგია ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ბაქოში, გაეროს კლიმატის ცვლილების მხარეთა კონფერენციას (COP 29) დაესწრო. კონფერენციის ფარგლებში, ოთარ შამუგიამ მალალი დონის შეხვედრები გამართა

ოთარ შამუგია აზიის განვითარების ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილეს, შოუჰონგ იანგს ქართულ პავილიონში შეხვდა

მინისტრმა ყურადღება დასავლეთ საქართველოში სადრენაჟე სისტემების განვითარების პროექტის მნიშვნელობაზე გაამახვილა.

როგორც შეხვედრაზე შოუჰონგ იანგმა განაცხადა, საქართველოსთან თანამშრომლობა მრავალი წელია ნაყოფიერად მიმდინარეობს. სახეზეა პროგრესი სხვადასხვა სექტორში, მნიშვნელოვანია გააძლიეროთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი, რომელიც ეფუძნება მდგრად განვითარებას, კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობას და ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

საუბარი შეეხო აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს - საქართველოს სოფლის მეურნეობის სარწყავი სისტემების მოდერნიზაციას. აღინიშნა, რომ კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის, განსაკუთრებით წყლის რესურსების მართვის მიმართულებით.

„ამ გამოწვევების საპასუხოდ, ჩვენ დავიწყეთ კლიმატკონივრული სარწყავი სექტორის განვითარების პროგრამა (2023-2028), რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი სოფლის



მეურნეობის სექტორის მდგრადობისა და პროდუქტიულობის გაზრდას. ჩვენ არა მხოლოდ გავაუმჯობესებთ წყლის გამოყენების ეფექტიანობას, არამედ მეტად უზრუნველყოფთ ფერმერებისთვის წყალზე წვდომას”, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

აზიის განვითარების ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილესთან შეხვედრას, მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ზურაბ პატარაძე ესწრებოდნენ.

ოთარ შამუგია კლიმატის მწვანე ფონდის რეგიონულ დირექტორს თომას ერიქსონს შეხვდა

ოთარ შამუგიამ დადებითად შეაფასა კლიმატის მწვანე ფონდთან (GCF) თანამშრომლობა და ის პროექტები, რომლებიც საქართველოში ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებების შერბილებას, ბუნებრივი კატასტროფებისთვის მზადყოფნას და ტყის მდგრად მართვას.

„GCF-ის მხარდაჭერით, ჩვენ დავამონტაჟეთ ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური ადჟურვილობა და მეწყრულ უბნებზე დავიწყეთ მონიტორინგი. მიწის აღდგენის, მდგრადი სოფლის მეურნეობის, წყლის რესურსებისა და ტყის მდგრადი მართვის მიმართულებით მხარდაჭერილი პროგრამები პირდაპირ სარგებელს მოუტანს საქართველოს სოფლის თემებს და მათ შეცვლილ კლიმატურ პირობებთან ადაპტაციამ დაეხმარება“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

ოთარ შამუგიას განცხადებით, საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას მნიშვნელოვნად ზრდის გარემოს დაცვის პროექტების მიმართულებით, ამავდროულად, მნიშვნელოვანია



საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომ უფრო ქმედითი გახდეს იმ ინიციატივების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებების შერბილებას.

თომას ერიქსონმა საქართველოში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მიმდინარეობა და მინისტრის მიერ დასმული აქცენტები დადებითად შეაფასა და მომავალი მჭიდრო თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა.

ოთარ შამუგიამ, გარემოსდაცვითი ინტეგრირების ჯგუფის (EIC) წევრი ქვეყნების - შვეიცარიის, სამხრეთ კორეის, ლიხტენშტეინის, მექსიკისა და მონაკოს გარემოს დაცვის მინისტრებს უმასპინძლა

როგორც ოთარ შამუგიამ შეხვედრაზე განაცხადა, გარემოსდაცვითი ინტეგრირების ჯგუფში მონაწილე ქვეყნებისთვის გარემოსდაცვითი მიმართულების მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება. საერთაშორისო არენაზე ერთიანი პოზიციის გაქდურება განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. გარემოსდაცვითი ინტეგრირების ჯგუფს აქვს შესაძლებლობები, საერთო ტრიბუნიდან წარმოადგინოს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების პოზიციები.



გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) დირექტორის მოადგილე დმიტრი მარიასინი: „საქართველო არის ერთ-ერთი მონინავე და აქტიური ქვეყანა გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების კუთხით“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) დირექტორის მოადგილეს, დმიტრი მარიასინს ქართულ პავილიონში შეხვდა.

„საქართველო არის ერთ-ერთი მოწინავე და აქტიური ქვეყანა გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების კუთხით, აქტიურად არის ჩართული გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის გარემოსდაცვით პროცესებსა და შეთანხმებებში და აქტიურად მუშაობს



რეკომენდაციების შესრულებაზე. გარემოს დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა გაქვთ“, - განაცხადა დმიტრი მარიასინმა.

ოთარ შამუგიამ შეხვედრაზე გარემოს დაცვის მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ინიციატივების შესახებ ისაუბრა.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) დირექტორის მოადგილემ საქართველოს სამომავლო რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

ოთარ შამუგია უნგრეთის ენერჯეტიკის მინისტრს ლანტოს კსაბას შეხვდა

შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული და სამომავლო თანამშრომლობის, მათ შორის გარემოს დაცვის მიმართულებით, გაღრმავების საკითხებზე იმსჯელეს.

აღინიშნა, რომ საქართველოსა და უნგრეთს შორის გამორჩეული ურთიერთობების დასტურია ხელმოწერილი ერთობლივი დეკლარაცია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომელიც საქართველო-უნგრეთის მრავალგანზომილებიანი თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს ჩარჩოს წარმოადგენს.

უნგრეთის მხარემ მზადყოფნა გამოთქვა, საქართველოსთან თანამშრომლობისთვის როგორც ინსტიტუციური განვითარების, ისე



თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის განხორციელების, ინვესტიციების მოზიდვისა და წარმოების განვითარების მიმართულებით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი ესწრებოდა.



ნინო თანდილაშვილი ბაქოში გამართულ მინისტრიალზე სიტყვით გამოვიდა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი მინისტრიალზე „სოფლის მეურნეობის ინოვაციების მისია კლიმატისთვის“ (Agriculture Innovation Mission for Climate - AIM for Climate) სიტყვით გამოვიდა.

მინისტრიალი ამერიკის შეერთებული შტატებისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში ქალაქ ბაქოში გაიმართა.

როგორც ნინო თანდილაშვილმა მინისტრიალზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, საქართველო აქტიურად მუშაობს სოფლის მეურნეობის სექტორზე კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად. აგრარული სექტორისთვის ადაპტაციური შესაძლებლობების გაზრდა

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

„საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვა-განხორციელებას. წყლის რესურსის დაზოგვა და მათი რაციონალურად გამოყენება გახლავთ მიდგომა, რომელიც სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატის ცვლილებების ფონზე იწვევს. საქართველოს მთავრობა 2028 წლამდე აპირებს 3 მილიარდი ლარის დახარჯვას სოფლის მეურნეობის სექტორში ფერმერების მხარდასაჭერად, ასევე, 300 მილიონი აშშ დოლარი მოხიზვებულია თანამედროვე სარწყავი სისტემების



განვითარებისთვის. დარწმუნებული ვარ, სოფლის მეურნეობაში შესაბამისი ინოვაციების დანერგვა ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორზე კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას,

პროდუქტიულობის გაზრდას და რომ ერთიანი ძალისხმევით, შევძლებთ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას“, - განაცხადა ნინო თანდილაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

ნინო თანდილაშვილი: „სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა“



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი ბაქოში გამართულ მაღალი დონის კონფერენციაზე „კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის დანერგვის მხარდაჭერა“ სიტყვით გამოვიდა.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამები აქტიურად უწყობს ხელს სოფლის

მეურნეობის სექტორში სხვადასხვა მწვანე ტექნოლოგიის დანერგვას და გამოყენებას. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივაა სახელმწიფო პროგრამა „ინოვაციური ტექნოლოგიების საგრანტო პროგრამა“, რომელიც ხელს უწყობს ფერმერების ცოდნისა და უნარების განვითარებას. აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი სარწყავი სისტემების გაძლიერება და წყლის მდგრადი გამოყენების ხელშეწყობაა, რაც აუცილებელია როგორც კლიმატის მდგრადობისთვის, ასევე, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდისთვის. ამ მიზნით, სახელმწიფოს ძალისხმევით, ბოლო 2 წლის განმავლობაში უპრეცედენტო მასშტაბის ფინანსური რესურსების მოხიზვება მოხდა, 300 მილიონი დოლარის ოდენობით, მათ შორის, მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, რათა მომდევნო წლებში ქვეყანამ თანამედროვე სარწყავი სისტემები განავითაროს.

„საქართველო ვალდებულია, მოახდინოს აგროსასურსათო სისტემების ადაპტაცია კლიმატის ცვლილების რისკებთან. ქვეყანა ავითარებს მრავალი საფრთხის ადრეული გაფრთხილების სისტემებს,

რომელიც შექმნილია ფერმერების დასაცავად კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკისგან, როგორცაა წყალდიდობა, ღვარცოფი და ა.შ. ეს სისტემა ასევე მოიცავს გვალვის პროგნოზს და ფერმერებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. როგორც აღვნიშნე, საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და გავრცელებას აგროსასურსათო სისტემებში სხვადასხვა ინიციატივით. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი და მზადყოფნას გამოვთქვამთ, გავაძლიეროთ ჩვენი ძალისხმევა“, - განაცხადა მინისტრის პირველმა მოადგილემ.

აზერბაიჯანში, ქალაქ ბაქოში მიმდინარე გაეროს კლიმატის ცვლილების მხარეთა კონფერენციის (COP 29) ფარგლებში გამართულ „კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის დანერგვის მხარდაჭერის“ კონფერენციას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მაღალი რანგის დელეგატი ესწრებოდა.

ოთარ შამუგია: „მივესალმებით სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელებას, ჩვენ ქვეყანაში ღია საინვესტიციო გარემოა“

სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელების, ახალი საწარმოების შექმნისა და დასაქმების საკითხები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ არაბული კომპანიის „Fadox International Assets Holding“ გენერალურ მენეჯერ ჯამალ ალ-სალაჰატისთან გამართულ შეხვედრაზე განიხილა.

ყურადღება გამახვილდა აღმოსავლეთ საქართველოში ნუშის ბაღების გაშენებასა და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნაზე. მინისტრი სოფლის მეურნეობაში ახალი ინვესტიციების განხორციელებას მიესალმა და აღნიშნა, რომ სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში, ყველა ინვესტორს მაქსიმალურ მხარდაჭერას გამოუცხადებს.

„ქვეყანაში გვაქვს ღია საინვესტიციო გარემო და დაცული ყველა პირობა იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია განხორციელდეს. ამაზე მეტყველებს ის სტატისტიკაც, რაც ქვეყანას ეკონომიკური ზრდის მიმართულებით აქვს. მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციების განხორციელება. სექტორის განვითარებისთვის სახელმწიფო არაერთ მხარდაჭერ პროექტს ახორციელებს. მომავალ 4 წელიწადში კიდევ უფრო გავზრდით სექტორის დაფინანსებას.



საქართველოში ნუშის წარმოებისთვის ყველანაირი პირობა არსებობს, ფერმერებმა სახელმწიფოს მხარდაჭერით დაახლოებით 5 000 ჰა-მდე ნუშის ახალი ბაღები გააშენეს. აქტიურად ვითარდება გადამამუშავებელი სექტორიც. ამ მიმართულებით ინვესტიციებს მხოლოდ მივესალმებით, ვფიქრობ,

ეს ბაზარზე კონკურენტუნარიანობას კიდევ უფრო გაზრდის“, - აღნიშნა ოთარ შამუგიამ.

კომპანია „Fadox International Assets Holding“, რომელიც დუბაიშია დაფუძნებული, „Fadox Group“-ის შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. მას სხვადასხვა სფეროში საერთაშორისო პროექტების დაფინანსებისა და ინვესტიციების მართვის მიმართულებით ათწლეულების გამოცდილება აქვს.



ოთარ შამუგია: „მსგავსი მასშტაბის პროექტი სახიფათო ნარჩენების მიმართულებით, ქვეყანაში პირველად ხორციელდება“



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია** და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე** ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ცანაში, დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხო მართვის მიზნით საცავის მოწყობის მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ.

„ძალიან მნიშვნელოვან პროექტს ვახორციელებთ, რომლის მიზანია დარიშხანის შემცველი ნარჩენების დაბინძურებული ტერიტორიების სრულად მოწესრიგება. პროექტი მოიცავს სამ ფაზას, რომელთაგან ორი უკვე დასრულებულია - ტერიტორია მთლიანად იზოლირებულია, მასშტაბური სამუშაოებია ჩატარებული ნაპირდაცვითი, სალექარი და წყალგამყვანი არხების მოწყობის კუთხით. მომავალი წლის გაზაფხულზე, უკვე დაიწყებთ პროექტის მესამე

ფაზას, რომელიც დარიშხანშემცველი ნარჩენების განთავსებისთვის სპეციალური ნაგებობის მშენებლობას ითვალისწინებს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მსგავსი მასშტაბის პროექტი, სახიფათო ნარჩენების მართვის კუთხით, ქვეყანაში პირველად ხორციელდება და სამუშაოების დასრულების შემდეგ ეს ტერიტორია იქნება სრულად მოწესრიგებული და უსაფრთხო“, - განაცხადა **ოთარ შამუგიამ**.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებული დარიშხანის შემცველი მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ადგილებზე, რთული ეკოლოგიური ვითარება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არსებობს. მას შემდეგ, რაც ამ ტერიტორიაზე არსებული სამთო-ქიმიური ქარხნები დაიხურა და დარიშხანშემცველი ნარჩენები ღია ცის ქვეშ, ყოველგვარი კონტროლის გარეშე დარჩა.

როგორც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, **პაპუნა მარგველიძემ** აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს რეგიონისთვის მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არსებულ პრობლემას სრულად მოაგვარებს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით და საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების

ჩართულობით, დარიშხანშემცველი ნარჩენების საცავის მოწყობის მიზნით ჩატარდა კვლევები და მომზადდა ანგარიშები. ექვეყნიანი ღონისძიებების შემუშავებისა და, შემდგომში, მისი განხორციელების მიზნით, ექსპერტებისა და მოსახლეობის მონაწილეობით, გაიმართა არაერთი საჯარო განხილვა, განისაზღვრა პრიორიტეტები უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად და დაიგეგმა პირველადი დაცვითი ღონისძიებების ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ სოფელ ძუღარეში (საიტი - ცანა 1) და სოფელ ყორულაში (საიტი - ცანა 3) განხორციელდა დაბინძურებული ტერიტორიების შეღებვის სამუშაოები, რამაც განაპირობა სახიფათო ტერიტორიაზე ადამიანების და ცხოველების მოხვედრის შესაძლებლობის შეზღუდვა; დასრულდა მდინარე ყორულაში მონოლითური რკინაბეტონის ნაპირსამაგრი ჯებირის, წყალგამტარი არხისა და სალექარის მშენებლობის სამუშაოები. კერძოდ, აშენდა 224 მეტრი სიგრძის დამცავი ჯებირი, რომელიც წყალდიდობის შემთხვევაში დაიცავს დარიშხანშემცველი ნარჩენების სარკოფაგს წარცხვისაგან; გაკეთდა 350 მეტრის სიგრძის რკინაბეტონის არხი, სარკოფაგის ტერიტორიის დატბორვისა და დაჭაობებისგან დაცვის უზრუნველყოფისთვის.

2025 წელს, განხორციელდება პროექტის მესამე ეტაპით გათვალისწინებული ღონისძიებები - 50500 მ² მოცულობის სარკოფაგის მშენებლობა, დარიშხანის შემცველი ნარჩენების შეგროვება და სარკოფაგში განთავსება.

„ყვარლის ბაგა“ ებრაული მოდელის ფერმაა, რომელიც 10 წლის წინ შეიქმნა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია**, კახეთის მხარის რწმუნებულ **გიორგი ალადაშვილთან** ერთად, **ყვარლის მუნიციპალიტეტში**, კომპანია **„ყვარლის ბაგა“** სტუმრობდა, სადაც მსხვილფეხა საქონლის ფერმერული მეურნეობა დაათვალიერა.

450 ჰა მიწის ნაკვეთზე განთავსებულია კომბინირებული საკვების ახალი საწარმო, ასევე, რძის გადამამუშავებელი საწარმო. თანამედროვე სტანდარტების ფერმაში 30 მილიონი დოლარის ინვესტიციას განხორციელებული. ფერმაში 150-მდე ადგილობრივია დასაქმებული. ფერმის ძირითადი მომხმარებელი უმსხვილესი გადამამუშავებლები: „რძის ლაბორატორია“, „სანტე“, „სოფლის ნობათი“ და „აგროპაბი“ არიან.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ უფრო მეტი ფერმის შექმნას, რაც მოგვცემს საშუალებას,

ვაწარმოოთ მეტი რძე და ქვეყანაში ყოველწლიურად გავაუმჯობესოთ თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი. წელს სწორედ ამ მიზნით დავიწყეთ ახალი პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებში უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვთ ფერმერებს - 7 წლის განმავლობაში ჩვენ სესხის საპროცენტო განაკვეთს ვაფინანსებთ შესაბამისი სტანდარტების ფერმის მოწყობის ხარჯებისთვის. ამ ეტაპისთვის დადასტურებული გვაქვს და დაწყებულია დაახლოებით 25 მილიონი ლარის ინვესტიცია. ველოდებით, რომ გვექნება დიდი დაინტერესება. ამავდროულად, ვეხმარებით მცირე ფერმერულ მეურნეობებს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში 400-ზე მეტი მცირე ფერმერი დავაფინანსეთ რძის პირველადი წარმოების მიმართულებით, რათა მათ ააშენონ შესაბამისი სადგომები ან რეკონსტრუქცია გააკეთონ, შესაბამისი აღჭურვილობა იყიდონ. ეს ყველაფერი მომავალ წლებში ჩვენ კარგ შედეგებს მოგვცემს როგორც რძის წარმოების, ისე ხორცის წარმოების მიმართულებით“, - განაცხადა **ოთარ შამუგიამ**.

კომპანიის დამფუძნებლის, **ლაშა პაპაშვილის** განცხადებით, თანამედროვე სტანდარტების მასშტაბური ფერმის მოწყობა სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე რთულია; შესაბამისად, სუბსიდირების პრაქტიკა მსოფლიოში დანერგულია.

კომპანია „ყვარლის ბაგა“ სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარია. 2013 წლიდან დღემდე, მესაქონლეობის, რძის გადამამუშავებისა და მეხაღებლის განვითარების, ასევე სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის შესყიდვის მიზნობრივით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით ისარგებლა; კომპანია ასევე სარგებლობს თანადაფინანსების პროგრამებით: „დანერგე მომავალი“, „სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა“ და „მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა“.

აღსანიშნავია, სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერა რძის მცირე მწარმოებლებისათვის მერძეობის დარგის მოდერნიზაციის და პროგრამის ფარგლებში. 2023-2024 წლებში პროგრამით ისარგებლა 400-ზე მეტმა ბენეფიციარმა, თანადაფინანსება დაახლოებით 17 მლნ ლარია. მესაქონლეობის დარგის განვითარებისათვის მიმდინარე წელს მხარდაჭერის ახალი მექანიზმი ამოქმედდა. კერძოდ სექტორს შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს მაღალპროდუქტიული ჯიშები და განახორციელოს ფერმების სათანადო აღჭურვა-მოდერნიზაცია. პროექტის ფარგლებში, რომელიც წელს, გაზაფხულიდან ამოქმედდა, გაეცმულია 25 მლნ ლარის ღირებულების სესხები.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად ფერმაში მინისტრის მოადგილე **თენგიზ ნასარიძე**, სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი **დავით წითლიძე** და ბიზნესსაოციაციის თავმჯდომარის **მოადგილე მარიანა მორგოშია** იმყოფებოდნენ.



რუსთავის ჭალის ტყის აღდგენა-გაშენების მასშტაბური პროექტის განხორციელება იწყება



„ქალაქ რუსთავის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტის, რუსთავის ჭალის ეკოსისტემის აღდგენა დაიწყო. პროექტი გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შედეგად აკუმულირებული თანხებიდან დაფინანსდება. ეს არის პირველი პრეცედენტი მას შემდეგ, რაც ამოქმედდა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ახალი კანონი, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა და დანერგა ეს პრინციპი. ჭალის ტერიტორიის აღდგენა, ერთი მხრივ, დადებითად იმოქმედებს რუსთავის ჰაერის ხარისხზე, რაც ჩვენთვის პრიორიტეტულია და, ამავდროულად, რუსთაველებს და რუსთავის სტუმრებს ექნებათ ძალიან ლამაზი, მონესრიგებული და მასშტაბური რეკრეაციული სივრცე“ - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის პროექტის პრეზენტაციაზე.

რუსთავის ჭალის ტერიტორიაზე, 160 ჰა ფართობზე მოეწყობა ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურა - საფეხმავლო და ველობილიკები, მოსასვენებელი სივრცეები, საგუშაგო კოტეჯები, საპრეზენტაციო სივრცე, დამონტაჟდება ფრინველებსა და ცხოველებზე დაკვირვების პროცესისთვის საჭირო ფოტოაფანგები, მტკვარზე მოეწყობა მყარი ნარჩენებისგან წყლის გამწმენდი ბარიერი; 24 ჰა ფართობზე კი, 60 ათასი ხის ნერგი დაირგება. პარკი ვიზიტორებს ფიზიკური აქტივობებისთვის უსაფრთხო და ხელსაყრელ გარემოს შესთავაზებს, სადაც საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ხელმისაწვდომი იქნება გარემოს დაცვის საკითხებზე შემეცნებითი შეხვედრების მოწყობა.

პროექტის პრეზენტაციას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, საქართველოს პარლამენტის წევრები მაია ბითაძე და ირაკლი შატაკიშვილი ესწრებოდნენ. რუსთავის მერმა სამოქალაქო აქტივისტებს, საქართველოს პარლამენტს და სამთავრობო გუნდს მადლობა გადაუხადა პროექტის მხარდაჭერისთვის და რუსთავის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ბრუნვისთვის.

„ეს სივრცე ჩვენი ქალაქის ფილტვებია, რომელიც, სამწუხაროდ, 90-იან წლებში იყო განადგურებული. დღეს ჩვენს თაობას, ჩვენს გუნდს გვაქვს შესაძლებლობა, ყველამ ერთად მივიღოთ მონაწილეობა, აღვადგინოთ უნიკალური ჭალის ტყე, რომელიც გააჯანსაღებს და გააუმჯობესებს ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობას. ეს არის უპრეცედენტო, ძალიან მასშტაბური პროექტი, რომელსაც რუსთაველები

დიდი ხანია ველოდებით“, - აღნიშნა ნინო ლაცაბიძემ.

საქართველოს პარლამენტის წევრმა მაია ბითაძემ პროექტის მასშტაბურობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის პროექტის განხორციელება ქალაქის რეკრეაციულ განვითარებას შეუწყობს ხელს, რომელიც მიმზიდველი იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვის.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და რუსთავის მერიის ერთობლივი ძალისხმევით აღდგება და განახლება 160 ჰა რუსთავის ტყის ჭალების ტერიტორია. ეს არის უპრეცედენტო პროექტი, რომელიც გარემოს დაცვით ფონდში აკუმულირებული თანხებით განხორციელდება“, - განაცხადა მაია ბითაძემ.

პროექტის განსახორციელებლად საჭირო თანხები გარემოსდაცვითი ფონდის ბიუჯეტიდან გამოიყო, რომელიც გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი ანაზღაურების შედეგად გადახდილი თანხებით შეიქმნა. გარემოსდაცვითი ფონდები თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში არსებობს, თუმცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველო პირველია, რომელმაც მსგავსი ფონდი შექმნა. აღნიშნული ფონდის მიზანი გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა მუნიციპალიტეტში საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელებაა. აღსანიშნავია, რომ რუსთავის ჭალის ტყის აღდგენის პროექტი გარემოსდაცვითი ფონდიდან დაფინანსებული პირველი პროექტია.

ჭალის ტყე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, მტკვრის ორივე სანაპიროზე, ძველსა და ახალ ხიდს შორის არსებულ სივრცეში მდებარეობს. ჭალის ტყის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, ამჟამად ეს მონაკვეთი გამოუყენებელ სივრცეს წარმოადგენს, სადაც ეკოსისტემა დეგრადირებულია და დაბინძურებულია სხვადასხვა ტიპის ნარჩენით.



საქართველოში სახეობათა აღდგენის ეროვნული გეგმა დამტკიცდა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა გადარჩენის პრაქტიკულ ღონისძიებათა წესების შესახებ სახელმძღვანელო - „სახეობათა აღდგენის ეროვნული გეგმა“ დაამტკიცა.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნა გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა მრავალ სახეობას. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ შემუშავდა სახეობათა აღდგენის ეროვნული გეგმა, რომლის შესაბამისად, თითოეული პრიორიტეტული სახეობის აღდგენა უნდა ეფუძნებოდეს ამ სახეობის აღდგენის დეტალურ გეგმას.

სახეობათა აღდგენის ეროვნული გეგმა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებმა და ექსპერტებმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შვედეთის მთავრობის ერთობლივი პროგრამის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში შეიმუშავეს.

დოკუმენტი განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე აღსადგენი სახეობების ნუსხას და ამ სახეობებისთვის საკონსერვაციო გეგმების შემუშავების წესებს, მეთოდებს, რეკომენდაციებსა და ვალდებულებას. ნუსხით გათვალისწინებული სახეობების აღდგენის ღონისძიებები განხორციელდება ეტაპობრივად, ამ სახეობების აღდგენის ცალკეული გეგმის შესაბამისად.

დოკუმენტი უზრუნველყოფს როგორც სახეობათა აღდგენის დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესებასა და რეინტროდუქციის პროგრამების შექმნას, აგრეთვე, მომავალში პრიორიტეტული სახეობების მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის უკვე წარმატებით ხორციელდება ხუთი პრიორიტეტული სახეობის - ქურციკის, ნაკადულის კალმახის, გნოლის, კაკბისა და ხობის - პოპულაციების აღდგენის ღონისძიებები. მომავალში დაგეგმილია პროგრამის გაფართოება და დოკუმენტით შემოთავაზებულია დამატებით 61 სახეობის აღდგენა.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია წითელი ნუსხით დაცული ირმის აღდგენის ღონისძიებების განხორციელება.



ლეოპარდი



ნიამორი



ირემი





ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე



შვეიცარიაში, ქალაქ ციურიხში, ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე Expovina 25 სახეობის ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი



„შვეიცარიის ბაზარზე ქართული ღვინით დაინტერესების ზრდის ტენდენცია იმ მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად მივიღეთ, რომელსაც ბოლო წლებია ვახორციელებთ. თუმცა, ეს საკმარისი არ არის. აქტიურად უნდა გავაგრძელოთ ქართული ღვინის ცნობადობის ზრდის მიმართულებით მუშაობა. მოგეხსენებათ, Expovina შვეიცარიის ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო გამოფენაა და ორი კვირის განმავლობაში ათასობით სტუმარს, მათ შორის, ღვინის ექსპერტს, სომელიეს, ჰორეკა სექტორის, მედიის წარმომადგენლებს მასპინძლობს.

31 ოქტომბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარე Expovina-ს საგამოფენო სივრცე 9 გემზე მოეწყო და ათასობით სტუმარს უმასპინძლა. მეღვინეობის პრაქტიკულად ყველა ქვეყნიდან წარმოდგენილ ღვინოებს შორის იყო ქართული ღვინოც, რომელიც გამოფენაზე „ქართული ღვინის სახლმა“ (GeoHaus) წარადგინა.

გამოფენის Expovina გახსნას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე დაესწრო.



ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა იაპონიაში გაიმართა



ქალაქ ოსაკაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Red Bridge“ ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა, რომელსაც ღვინის იმპორტიორები, ბაიერები, სავაჭრო ქსელებისა და მედიის წარმომადგენლები, ჯამში 120-მდე სტუმარი დაესწრო.

საქართველოს მეღვინეობის კულტურის, ისტორიის, ვაზის ჯიშებისა და ღვინის თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ პრეზენტაცია Red Bridge-ის დირექტორმა, ღვინის ცნობილმა მაგისტრმა, კენიჩი ოკაშიმ წარმოადგინა.

ამასთან ერთად, ცნობილმა იაპონელმა სომელიე მოტოჰირო ოკოშიმ სტუმრებს 8 ქართული ღვინო წარუდგინა და ქართული ღვინის იაპონურ სამზარეულოსთან შეხამების გამოცდილება გაუზიარა.

კომპანიასთან „Red Bridge“ ღვინის ეროვნული სააგენტო 2017 წლიდან თანამშრომლობს. კომპანიის საქმიანობა იაპონიის სტრატეგიულ ბაზარზე ქართული ღვინის სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებას მოიცავს. აღნიშნული ღონისძიებების მიზანი იაპონიის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობის და, შესაბამისად, მოთხოვნის ზრდის ხელშეწყობაა.



ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში, ქართული ღვინის წარდგენის და დეგუსტაციის ღონისძიებას 40-ზე მეტი სომელიე, ღვინის იმპორტიორი, მედიის და ჰორეკა სექტორის წარმომადგენელი დაესწრო



ქართული ღვინის წარმოების ისტორია, ჯიშური მრავალფეროვნება, ქვევრის და ქვევრის ღვინის ტექნოლოგია ღონისძიების მონაწილეებს ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა, ღვინის ექსპერტმა, ირაკლი ჩოლობარგიამ გააცნო. საუბარი შეეხო ქართული ღვინის წარმოების დღევანდელ მასშტაბებს, სახეობებს, მსოფლიო ბაზრებზე მოთხოვნებს და ექსპორტის ტენდენციებს.

ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის და პოპულარიზაციის აქტიური კამპანიის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ფინეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძემ ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელ ლევან მაჭავარიანთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე ფინეთში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის მიზნით სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვის საკითხები განიხილა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია აქტიური კამპანიის წარმოება და მიზნობრივ სეგმენტზე გათვლილი ღონისძიებების განხორციელება, რაშიც ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო აქტიურად იქნება ჩართული.

ჰელსინკიში გამართულ ღონისძიებას ესწრებოდა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე, რომელმაც ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში



ქართული ღვინის კომპანიები ქალაქ დეჯონში საერთაშორისო ფესტივალზე „Daejeon International Wine Festival“ მონაწილეობდნენ



ღვინის ეროვნული სააგენტოს და კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქალაქ დეჯონში საერთაშორისო ფესტივალზე „Daejeon International Wine Festival“ ქართული ღვინის 8 მწარმოებლის, როგორც დიდი კომპანიების, ასევე მცირე მარნების ღვინო იყო წარმოდგენილი.

ქართული ღვინის მსგავს მასშტაბურ ღონისძიებებზე წარდგენა ემსახურება საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას.

სამდლიან გამოფენის ფარგლებში, ქართველ ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი პროდუქცია წარედგინათ ადგილობრივი ღვინის პროფესიონალებისთვის, რაც ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის წინაპირობაა.

ფესტივალს კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩი თარაშ პაპასქუა დაესწრო.

კორეის რესპუბლიკაში ქართული ღვინის პირველი წარდგენა 2015 წელს გამოფენაზე „Seoul International Wines and Spirits Expo“ გაიმართა. ამ წლების განმავლობაში განხორციელებული მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად, ექსპორტი მზარდია.



ღვინის ეროვნული სააგენტოს და ასოციაციის „ქართული ღვინო“ მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანია იტალიაში მერანოს ღვინის ფესტივალში მონაწილეობდა



ფესტივალის ფარგლებში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დასახლების ღვინოები, მათ შორის, ქვევრის ღვინის და საფერავის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული ღვინოები. ღონისძიებას ღვინის პროფესიონალები და ჟურნალისტები დაესწრნენ. დეგუსტაციას იტალიელი სომელიე გუილო ინვერნიცი უძღვებოდა.

აქვს. ქართული ღვინო მსოფლიოში უფრო და უფრო ცნობილი ხდება, რაც მის მაღალ ხარისხზე მიანიშნებს. საქართველოში გვხვდება ღვინის დაყენების როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე მეთოდები. ბოლოს, როდესაც საქართველოში ვიმყოფებოდი, დავაგემოვნე რაჭა-ლეჩხუმის ალექსანდროულის და მუჯურეთულის ჯიშის ღვინოები. მე ახლაც მახსოვს მისი გემო, ვიმედოვნებ, რომ ამ ჯიშის ღვინოებს



აქვს ვიპოვი“, - აღნიშნა გუილო ინვერნიციმ, რომელიც იტალიის სომელიეთა ასოციაციის წევრია.

33-წლიანი ისტორიის მერანოს ღვინის ფესტივალი მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთი გამორჩეული ფესტივალია, რომელსაც ევროპის ღვინის მწარმოებლები, ექსპერტები და ჟურნალისტები ესწრებიან.

ქართული ღვინის პოზიციონირება აღნიშნულ ფესტივალზე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის აჩვენებს, რომ ღვინის სამშობლოდ აღიარებული საქართველო, რომელსაც ღვინის წარმოების 8000-წლიანი ისტორია აქვს, დღესაც ღირსეულად ადგის იკავებს მსოფლიო ბაზრებზე



და მუდმივად ვითარდება.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, მერანოს ღვინის ფესტივალის ფარგლებში, ქართული ქვევრი, როგორც იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, იტალიის ამ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ცენტრში დაიდგა.

„ძალიან ამაღლებელია ისეთი ღვინის დაგემოვნება, რომელსაც 8000-წლიანი დაყენების ისტორია



ქართული ღვინო საფრანგეთში, გასტრონომიის ფესტივალზე „Theoule Arts and Vin“ იყო წარმოდგენილი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasic“ ორგანიზებით, საფრანგეთის ქალაქ ტოულ სურ მერში (Théoule-sur-mer) გამართულ ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე „Theoule Arts and Vin“ ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა.

ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობდნენ 12 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიისა და მცირე მარნის 15 სახეობის ღვინოს.

რიგით მე-16 ფესტივალი „Theoule, Arts and Vin“, რომელიც ტოულ სურ მერის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით 2008 წლიდან იმართება, აერთიანებს ღვინისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს, ღვინის მომხმარებლებს, იმპორტიორებსა და გასტრონომებს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას



საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება წარმოადგენს. სააგენტო, ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს ახორციელებს, მათ შორის, მეღვინეობით სახელგანთქმულ ისეთ ქვეყანაში, როგორც საფრანგეთი, სადაც ქართულ ღვინოზე, განსაკუთრებით კი, ქვევრის ღვინოზე, მოთხოვნა მზარდაა.



პოლონეთში საფერავის წარდგენის მასშტაბური ღონისძიება გაიმართა



ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Peope PR“ ორგანიზებით, პოლონეთის სომელიეთა ასოციაციის გენერალური ასამბლეის ფარგლებში, ქართული ღვინის საფერავის დეგუსტაცია-სემინარი „Saperavi Experience: Secrets of Georgia's Red Treasure“ გაიმართა.

100-ზე მეტი ადგილობრივი სომელიე დაესწრო პოლონეთის დაბა პშევეში (Pszczew) გამართულ ღონისძიებას, რომელსაც სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „ო-ლილე“ ხელმძღვანელი ქეთევან ფრანგულიაშვილი უძღვებოდა. მონაწილეები ქართული ღვინის კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს და თანამედროვე ინდუსტრიას გაეცნენ.



ნიდერლანდების ქალაქ მასტრიხტში ქართული ღვინის დეგუსტაცია „Folie culinaire“ გაიმართა



ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Wijnimport Bleeker“ ორგანიზებით გამართულ სამდღიან ღონისძიებაზე, წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 5 კომპანიის 50 დასახელების ღვინო და მას ადგილობრივი ღვინის ექსპერტები, სომელიეები, კომერციული, HoReCa და მედია სექტორის წარმომადგენლები, ჯამში 1000-მდე ადამიანი დაესწრო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება წარმოადგენს. სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს ახორციელებს.



ღვინის მაგისტრი სარა ებოტი: „ქართული ღვინო დღემდე რჩება აღმოჩენად ბრიტანელი მომხმარებლების უმეტესობისთვის“

დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Swirl Wine Group“ ორგანიზებით, ღვინის პროფესიონალების 13-კაციანი ჯგუფი საქართველოში იმყოფებოდა.

ბრიტანელი იმპორტიორების და ურნალისტებისგან შემდგარი ჯგუფის



წევრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართულსა და კახეთში ეწვივნენ, სადაც სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო დააგემოვნეს. თბილისში გამართულ სპეციალურ დეგუსტაციაზე „Walk-around Tasting“ ბრიტანელი სტუმრები 10 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოს გაეცნენ.

„ჩვენს ჯგუფს აქვს ფანტასტიკური გამოცდილება და მათ ნამდვილად მოსწონთ ქართული ღვინის მრავალფეროვნება და ხარისხი. დიდი

ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტი არსებითად გაიზარდა და გაყიდვების ზრდა ახლაც გრძელდება. ქართული ღვინო დღემდე რჩება აღმოჩენად ბრიტანელი მომხმარებლების უმეტესობისთვის. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო, როგორც ქვეყანა, რომელსაც აქვს უძველესი ღვინის კულტურა, სწრაფად ხდება ცნობადი და ქართული ღვინის ტურიზმიც სულ უფრო პოპულარულია“, - აღნიშნა კომპანიის

„Swirl Wine Group“ ხელმძღვანელმა, ღვინის მაგისტრმა სარა ებოტმა.

დიდი ბრიტანეთი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორი და ღვინის მომხმარებელი ქვეყანაა, რომელიც 2014 წლიდან გამოიკვეთა, როგორც ქართული ღვინის ექსპორტის ერთ-ერთი პოტენციურად მზარდი სტრატეგიული ბაზარი. დიდი ბრიტანეთის ბაზარზე დამკვიდრების მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო ღვინის მაგისტრის, სარა ებოტის კომპანიასთან „Swirl Wine Group LTD“ 2015 წლიდან თანამშრომლობს.



პოლონური მარკეტინგული კომპანიის „People PR“ შეფასებით, 2024 წელი ქართული ღვინისთვის ძალიან კარგი წელია

პოლონეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „People PR“ ორგანიზებით, საქართველოში პოლონელი ღვინის პროფესიონალების ტური ჩატარდა.

ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ღვინის იმპორტიორები და კომპანიის „People PR“ წარმომადგენლები.

ტურის ფარგლებში, სტუმრებმა კახეთის რეგიონში ქართული ღვინის მწარმოებელი



კომპანიები დაათვალიერეს, ადგილზე გაეცნენ ღვინის დაყენების ტექნოლოგიას და ქართულ ღვინოებს. სტუმრებისთვის თბილისში ქართული ღვინის დეგუსტაცია, ე.წ. „Walkaround Tasting“ გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანიის სხვადასხვა ღვინო. ქართველმა ღვინის მწარმოებლებმა პოლონელი პროფესიონალებისგან შეფასებები და რეკომენდაციები მიიღეს.

„ჩვენ ჩამოვიყვანეთ მაღალი დონის იმპორტიორების ჯგუფი, რომლებიც დაინტერესებული არიან ქართული ღვინით. ისინი უფრო და

უფრო მეტ ინფორმაციას იღებენ, სწავლობენ ქართული ღვინის პოტენციალს პოლონეთისთვის, რომელიც საქართველოსთვის წარმოადგენს სტრატეგიულ ბაზარს. ვფიქრობ, რომ ქართულ ღვინოს პოლონურ ბაზარზე რეალიზაციის ზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ყოველწლიურად იზრდება ექსპორტის მოცულობა; 2024 წელი ძალიან კარგი წელია ქართული ღვინისთვის. ეს მოგზაურობა დაგვეხმარება ჩვენ ქართული ღვინის მწარმოებელი

კომპანიებისათვის პოლონურ ბაზარზე წარმატების მიღწევის სტრატეგიის შემუშავებაში“, - აღნიშნა „People PR“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა კამილა ვარდინ-კოპერამ.

პოლონეთი ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, რომელმაც უკვე წლებია ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში სტაბილურად დაიმკვიდრა ადგილი. პოლონეთში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, წლის განმავლობაში, სხვადასხვა მარკეტინგული ღონისძიება ხორციელდება.





ტყელო საქართველოს მეცენაების სიძინისათვის ნაკლებ გარდაცვალებას ვის წვდობრივ სტრატეგიას

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ზოგიერთი ისეთი ჯიშის შესახებ, რომელიც საინტერესო შეიძლება იყოს როგორც გამოცდილი, ასევე დამწყები მეურნე-მევენახე-მეღვინეებისათვის

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველო, უაღრესად მრავალფეროვანი კლიმატურ-ნიადგობრივი პირობებით ხასიათდება. შესაბამისად, ქართული ვახისა და ღვინის უნიკალური კულტურით გამოირჩევა.

აღნიშნულს ადასტურებს ის საინტერესო ფაქტიც, რომ დღემდე აღწერილი ქართული ადგილობრივი 525 ჯიშიდან 343 ჯიში (მთელი რაოდენობის 3/5-ზე მეტი)



სათავეს დასავლეთ საქართველოდან იღებს. წამყვანი თეთრყურძინიანი და წითელყურძინიანი ვახის ჯიშები, რომელიც ამ რეგიონებშია წარმოდგენილი, თავისთავად უპირატესად საღვინე მიმართულებისაა.

აღსანიშნავია, რომ XXI საუკუნის დასაწყისიდან, შეინიშნება მეტად დადებითი ტენდენცია - მევენახეებისა და

მეღვინეების მხრიდან მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ინტერესი მცირედ გავრცელებული, შედარებით იშვიათი (გვხვდება მხოლოდ საკოლექციო ნარგობაში), ე.წ. ძველი „ახალი“ ჯიშების მიმართ, რომლის საფუძველზეც ღვინის ჯიშობრივი სპექტრის გამრავალფეროვნება სავსებით შესაძლებელია.



სახელწოდება - **ჯანი**
სინონიმი - **მარის ყურძენი, ჯანის ყურძენი**
წარმოშობა - **გურია**

მარის მოღვაწეობასთან. მან სამი ჯიშის - ჯანის, სხილათუნის და მტევანდიდის შერევით დაამზადა გამორჩეული ხარისხის ღვინო, რომელსაც თავისი სახელი დაარქვა და „მარის ღვინის“ სახელწოდებით აწვდიდა ღვინის ბაზრებს, როგორც საქართველოში (ქუთაისის გუბერნია), ასევე რუსეთსა და ევროპაში. მიჩნეულია, რომ სწორედ დასავლეთ საქართველოში წარმოებული ამ ღვინით გაიცნო ევროპამ საქართველო, როგორც ღვინის წარმოების რეგიონი (ერმილე ნაკაშიძე, 2018).

ჯანი საგვიანო სიმწიფის ჯიშია - გურიაში იგი ოქტომბრის ბოლო რიცხვებში მწიფდება. ეს ჯიში არ გამოირჩევა მოსავლიანობით, საშუალოდ, მისი მოსავალი 3-4 ტ/ჰა-ზე ფარგლებშია, მაგრამ ყურძნის ორგანოლექტიკური და ტექნოლოგიური მახასიათებლები მაღალია - შაქრიანობა 20.9-23.4%, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 6.0-9.1 გ/ლ ფარგლებშია.

ჯანი მაღალი ხარისხის საღვინე ვახის ჯიშად არის მიჩნეული. ღვინო ხასიათდება დიდი სხეულით, ალკოჰოლისა (11.5-12.1%) და მჟავიანობის ნორმალური შეფარდებით, ჰარმონიულობით და მაღალი საგემოვნო თვისებებით. დაძველებისას იძენს სასიამოვნო გემოს და მდიდარ ბუკეტს.



სახელწოდება - **მტევანდიდი**
სინონიმი - **აკილო**
წარმოშობა - **გურია**

მიეკუთვნება გურიის ვახის ჯიშების ჯგუფს და მცირედ არის გავრცელებული გურიის მევენახეობის ზონაში. ჯიში ხასიათდება საშუალო მოსავლიანობით (6.0-8.0 ტ/ჰა) და საგვიანო სიმწიფით - ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში ყურძენი ოქტომბრის მეორე ნახევრიდან მწიფდება. ყურძნის წვენში შაქრიანობა 20.0-23.5%, ხოლო ტიტრული მჟავიანობა - 8.5-10.0 გ/ლ ფარგლებშია.

მტევანდიდის ღვინო ხასიათდება ალკოჰოლისა და მჟავიანობის ნორმალური შეფარდებით, საკმაოდ მაღალი საგემოვნო მაჩვენებლებით.



სახელწოდება - **ბადაგი**
წარმოშობა - **გურია**

ეს ადგილობრივი წითელყურძინიანი ვახის ჯიში ძირითადად გვხვდება გურიის მევენახეობის ზონაში. მისი გავრცელების ისტორია დაკავშირებულია ცნობილი აგრონომის, იაკობ

ადგილობრივი ვარდისფერყურძინიანი ვახის ჯიშია, მიეკუთვნება გურიის ვახის ჯიშების ჯგუფს და მცირედ არის გავრცელებული გურიის მევენახეობის ზონაში. მისი სახელი „ბადაგი“, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ყურძნის წვენის მაღალ შაქრიანობასთან.

ჯიში ხასიათდება საშუალო მოსავლიანობით (7.5-8.0 ტ/ჰა) და საგვიანო სიმწიფით - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პირობებში ყურძენი ოქტომბრის ბოლოს მწიფდება. ყურძნის წვენში შაქრიანობა 20.5-24.0 %, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 6.5-10.0 გ/ლ ფარგლებშია.

ბადაგი მაღალი ხარისხის საღვინე ვახის ჯიშია. ღვინო ხასიათდება კომპლექსური შეფერილობით, კარგი სხეულით, თავისებური ჯიშური არომატით, მაღალი საგემოვნო თვისებებით, ალკოჰოლის (12.5-12.7%) და მჟავიანობის ნორმალური შეფარდებით. აღსანიშნავია, რომ დაძველებისას ღვინის ხარისხი უმჯობესდება.



სახელწოდება - **სხილათუბანი**
სინონიმი - **სხილათუბანი, სხილათობანი, რცხილათუბანი, რცხილათობანი, ცხილათობანი**

ადგილობრივი წითელყურძინიანი ვახის ჯიში, მიეკუთვნება გურიის ვახის ჯიშების ჯგუფს და მცირედ არის გავრცელებული გურიის მევენახეობის ზონაში.

ჯიში ხასიათდება უხვმოსავლიანობით (8.0-9.0 ტ/ჰა) და საგვიანო სიმწიფით - გურიაში ყურძენი ოქტომბრის შუა რიცხვებში მწიფდება. ყურძნის წვენში შაქრიანობა 19.0-20.0%, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 8.0-9.0 გ/ლ ფარგლებშია.

სხილათუბანი მაღალი ხარისხის საღვინე ვახის ჯიშია. ღვინო ხასიათდება მუქი წითელი შეფერილობით, ალკოჰოლისა (10.6-11.8 %) და მჟავიანობის ნორმალური შემცველობით, კარგი სხეულით და ჰარმონიულობით.



სახელწოდება - **საკმეილა**
სინონიმი - **საკმეველა, საკმელა, საკმელაი**
წარმოშობა - **გურია**

ადგილობრივი თეთრყურძინიანი ვახის ჯიშია, მიეკუთვნება გურიის ვახის ჯიშების ჯგუფს, წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული მაღლარი ვენახების სახით, ამჟამად მცირედ არის გავრცელებული გურიის მევენახეობის ზონაში.

ჯიში ხასიათდება უხვმოსავლიანობით (8.5-9.5 ტ/ჰა) და სხვა ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით საადრეო სიმწიფით. ყურძნის წვენში შაქრიანობა 19.5-20.0%, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 8.3-8.5 გ/ლ ფარგლებშია.

საკმეილა მაღალი ხარისხის საღვინე ვახის ჯიშია და გურიის მევენახეობის ზონაში მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს ხარისხიანი თეთრი ღვინის მწარმოებელი მევენახე-მეღვინეებისთვის.



სახელწოდება - **ჭვითილური**
სინონიმი - **ჭვითილური, ჭყვითილური, ჩექობალი**
წარმოშობა - **სამეგრელო**

თეთრყურძინიანი ჯიშია, რომელიც მიეკუთვნება სამეგრელოს ვახის ჯიშების ჯგუფს და ძირითადად, მცირედ არის გავრცელებული

სამეგრელოს მევენახეობის ზონაში.

არსებული სამეცნიერო მონაცემების (ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, 1960) თანახმად, წარსულში ეს ჯიში ფართოდ იყო გავრცელებული სამეგრელოს, უპირატესად მთისპირა მიკრორაიონებში (წალენჯიხა, ჩხორიწყე, მარტვილი, სალხინო და სხვა) და მის ყურძენს ადგილობრივი მოსახლეობა ღვინის დასაყენებლად იყენებდა. ჭვითილურის ღვინო სახელგანთქმული იყო არა მარტო სამეგრელოში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში.

ჯიში ხასიათდება საშუალოზე მაღალი მოსავლიანობით (8.0-8.5 ტ/ჰა) და საგვიანო სიმწიფით - ყურძენი ოქტომბრის ბოლოსთვის მწიფდება. ყურძნის წვენის შაქრიანობა 19.5-21.8%, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 8.1-8.9 გ/ლ ფარგლებშია.

ჭვითილური მაღალი ხარისხის საღვინე ვახის ჯიშია. ღვინო ხასიათდება გამჭვივალე შეფერვით, ალკოჰოლისა და მჟავიანობის კარგი შეფარდებით, დიდი სხეულით, ჰარმონიულობით და მაღალი საგემოვნო თვისებებით. ზოგიერთი ისტორიული მონაცემის მიხედვით, ჭვითილურის ღვინო თავისი გემოთი ჩხავერს გვაგონებს (ერმილე ნაკაშიძე, 2018).





სახელწოდება - **კამური თეთრი**
 სინონიმი - **თეთრი კამურა, კამურა, კამურის ყურძენი**
 წარმოშობა - **გურია**

ადგილობრივი თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია, მიეკუთვნება გურიის ვაზის ჯიშების ჯგუფს და ძირითადად, მცირედ არის გავრცელებული გურიის მევენახეობის ზონაში. ჯიში ხასიათდება საშუალო მოსავლიანობით (5.5-7.5 ტ/ჰა) და საგვიანო სიმწიფით - ყურძენი ოქტომბრის შუა რიცხვებიდან მწიფდება. ყურძნის წვენი შექვიანობა 20.0-23.0%, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 7.4- 8.0 გ/ლ ფარგლებშია. კამური თეთრი საღვინე-სასუფრე მიმართულების ვაზის ჯიშია. ღვინო ხასიათდება საკმარისი ექსტრაქტულობით, სასიამოვნო, ხალისიანი მჟავიანობით. იმის გათვალისწინებით, რომ მტევანს გააჩნია კარგი შენახვის უნარი, მისი გამოყენება შესაძლებელია სასუფრე დანიშნულებითაც.



სახელწოდება - **პანეში**
 წარმოშობა - **სამეგრელო**

ადგილობრივი წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია, მიეკუთვნება სამეგრელოს ვაზის ჯიშების ჯგუფს. გასული საუკუნის დასაწყისში პანეშს, ფართობის მიხედვით, წითელყურძნიან ჯიშებს შორის, ოჯალუმის შემდეგ მეორე ადგილი ეკავა (ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, 1960). ჯიში ხასიათდება საშუალო მოსავლიანობით 6.5-7.0 ტ/ჰა და საგვიანო სიმწიფით - ყურძენი ოქტომბრის შუა პერიოდში მწიფდება. ყურძნის წვენი შექვიანობა 17.0-19.5%, ხოლო მჟავიანობა 9.0-10.0 გ/ლ ფარგლებშია. პანეში საღვინე მიმართულების ვაზის ჯიშია. მისგან დამზადებული ღვინო ხასიათდება კარგი შეფერვით, ალკოჰოლისა და მჟავიანობის ოპტიმალური შემცველობით, კარგი სხეულითა და ჰარმონიულობით. ჯიში შესაძლოა განიხილებოდეს პერსპექტიულად სამეგრელოს მთისპირა სამხრეთის ფერდობებზე გასაშენებლად.



სახელწოდება - **ადანასური**
 სინონიმი - **მაღლარი**
 წარმოშობა - **იმერეთი**

ქართული ადგილობრივი წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. მიეკუთვნება იმერეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. ჯიში ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით (11.0-12.0 ტ/ჰა) და საშუალო-საგვიანო სიმწიფით - იმერეთის ზონაში ყურძენი ოქტომბრის დასაწყისში მწიფდება. ყურძნის წვენში შექვიანობა 21.0 - 23.0 %, ხოლო მჟავიანობა 8.1-10.6 გ/ლ ფარგლებშია. ადანასური საღვინე მიმართულების ვაზის ჯიშია, ღვინო ხასიათდება დაბალექსტრაქტულობით, გამოირჩევა სასიამოვნო და ცოცხალი გემოთი.



სახელწოდება - **კოლოში**
 წარმოშობა - **სამეგრელო, გურია**

ადგილობრივი წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია, მიეკუთვნება სამეგრელო/გურიის ვაზის ჯიშების ჯგუფს და ძირითადად, მცირედ არის გავრცელებული სამეგრელოს და აჭარის მევენახეობის ზონებში. ჯიშის სახელწოდება დაკავშირებულია ჩხოროწყის მუნიციპალიტეტში არსებული ადგილის ტოპონიმთან „კოლოშონა“. ეს ჯიში ხასიათდება უხვმოსავლიანობით (8.5-9.5 ტ/ჰა) და მეტად საგვიანო სიმწიფით - ყურძენი ნოემბრის დასაწყისში მწიფდება. ყურძნის წვენი შექვიანობა 17.0-18.0%, ხოლო ტიტრული მჟავიანობა 9.0-9.5 გ/ლ ფარგლებშია. კოლოში ხარისხიანი საღვინე ვაზის ჯიშია, ასევე გამოიყენება სასუფრე მიმართულებითაც.



სახელწოდება - **ცხვედიანის თეთრა**
 სინონიმი - **ცხვედიანის თეთრი**
 წარმოშობა - **ლეჩხუმი**

ადგილობრივი თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია, მიეკუთვნება ლეჩხუმის ვაზის ჯიშთა ჯგუფს და მცირედ არის გავრცელებული ლეჩხუმის მევენახეობის ზონაში. ჯიში ხასიათდება საშუალოზე მაღალი მოსავლიანობით და საშუალო სიმწიფის პერიოდით - ლეჩხუმის მევენახეობის ზონაში ყურძენი სრულ სიმწიფეში სექტემბრის შუა რიცხვებიდან შედის. ყურძნის წვენში შექვიანობა 22.0- 23.0%-მდე, ხოლო მჟავიანობა 6.5-7.0 გ/ლ ფარგლებშია. ცხვედიანის თეთრასგან მზადდება თეთრი მშრალი მსუბუქი ღვინო.



სახელწოდება - **საწურავი**
 სინონიმი - **საწური**
 წარმოშობა - **აჭარა**

ადგილობრივი წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია, მიეკუთვნება აჭარის ვაზის ჯიშების ჯგუფს და მცირედ არის გავრცელებული აჭარის მევენახეობის ზონაში. სახელწოდება „საწურავი“ და „საწური“ ასახავს ჯიშის შინაარსს, რადგან გამოირჩევა წვენი მაღალი გამოსავლიანობით. ჯიში ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით (10 - 15 ტ/ჰა) და საგვიანო სიმწიფით - ყურძენი ოქტომბრის ბოლოს მწიფდება. ყურძნის წვენი შექვიანობა 17.0-18.0 %, ხოლო მჟავიანობა 9.0-10.0 გ/ლ ფარგლებშია. საწურავი საღვინე მიმართულების ვაზის ჯიშია. გამოიყენება წითელი ან ვარდისფერი მშრალი ხალისიანი ღვინოების დასამზადებლად.



სახელწოდება - **კაპისტონი თეთრი**
 სინონიმი - **კაპისტონი**
 წარმოშობა - **იმერეთი**

ქართული ადგილობრივი თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია, მიეკუთვნება იმერეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს და მცირედ არის გავრცელებული იმერეთის მევენახეობა-მეღვინეობის ზონაში. ჯიში ხასიათდება საშუალო მოსავლიანობით (საშუალოდ 6.0-7.0 ტ/ჰა) და საშუალო-საგვიანო სიმწიფით. კაპისტონი თეთრის სიმწიფის პერიოდი, შუა და ზემო იმერეთის ზონაში, სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში დგება. ყურძნის წვენში შექვიანობა

20.0-22.0 %, ხოლო მჟავიანობა 8.5-9.0 გ/ლ ფარგლებშია.

კაპისტონი თეთრი მაღალი ხარისხის საღვინე ვაზის ჯიშია. კლასიკური (ევროპული) და იმერული ტექნოლოგიით დაყენებული კაპისტონის ღვინო ხასიათდება ორიგინალური შეფერვით, სიხალისით, ალკოჰოლის ნორმალური შემცველობით და მაღალი საგემოვნო მაჩვენებლებით. განსაკუთრებით გამოირჩევა კაპისტონი თეთრისგან დამზადებული ცქრიალა ღვინო, ნაზი გემოთი და სასიამოვნო, ხალისიანი მჟავიანობით.

ირმა მდინარაძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მევენახეობა-მეღვინეობის ანალიზისა და რეგულირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

გამოყენებული ლიტერატურა
 ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, 1960. საქართველოს ამპელოგრაფია.
 ივ. ჯავახიშვილი, 1986. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი V.
 მ. რამიშვილი, 1986. ამპელოგრაფია.
 ნ. ცერცვაძე ნ., 1987. საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშების სარკვევი.
 ე. ნაკაშიძე, 2018. მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში. მეორე გამოცემა. ლ. უჯმაჯურიძე, გ. კაკაბაძე, ლ. მამასახლიშვილი, 2018, ქართული ვაზის ჯიშები Homeland of Wine. Magazine #8, 2023; #11, 2024; #12, 2024 <https://catalog.elkana.org.ge/>





ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედი კოოპერაციული საწარმო

დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედი კოოპერაციული საწარმო, რომელიც სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა, ყველის სხვადასხვა სახეობას აწარმოებს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი 13 ადგილობრივ წევრს აერთიანებს. პროდუქციის რეალიზება ადგილობრივ ბაზარზე ბრენდით „შვანრე“ ხორციელდება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „დმანისი“ საწარმოში წლიურად 45 ტონა რძის გადამამუშავება შესაძლებელია.

„განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ისეთ ქართულ პროდუქტს, როგორც არის ნარჩვი. ეს არის სვანური ტრადიციული კასრის დავარგებული ყველი, რომლის

წარმოებაც პრაქტიკულად მივიწყებული იყო. სოფლის განვითარების სააგენტოს დახმარებით, ყველის წარმოებისთვის ყველა საჭირო დანადგარი შევიძინეთ. ჩვენი კოოპერატივის წევრების მიერ მოწოდებული ნედლი რძის მეშვეობით ქართულ, ნატურალურ პროდუქტს, სხვადასხვა სახეობის ყველს ვაწარმოებთ“ - აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „მდ-ანსი“ დირექტორი ნონა ანსიანი.

საწარმო, რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2023 წელს ამოქმედდა.

თელავის მუნიციპალიტეტში მოქმედი საოჯახო მარანი



ჭოტიაშვილების საოჯახო მეღვინეობას ვენახი 17 ჰა-ზე აქვს გაშენებული, წელიწადში დაახლოებით 50,000 ბოთლს აწარმოებს და პროდუქცია იყიდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გადის ექსპორტზე.

„მე და ჩემმა ძმამ, გადაწყვიტეთ საკუთარი მეღვინეობა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ სანიორეში შეგვექმნა. ამ საქმეში, ჩვენი ოჯახის სამივე თაობა არის ჩართული. სოფლის განვითარების სააგენტოს

დახმარებით, ვენახის მოვლისათვის და ღვინის წარმოებისთვის საჭირო ტექნიკა შევიძინეთ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მეღვინისთვის“, - აღნიშნავს ჭოტიაშვილების მეღვინეობის თანადამფუძნებელი კახა ჭოტიაშვილი.

როგორც მეღვინე აღნიშნავს, მათი საქმიანობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო პროგრამით „შელავათიანი აგროკრედიტი“ სარგებლობა.

მარცვლეულის წარმოება ქვემო ქართლის რეგიონში



„ჩვენ ვართ მეურნეობა 12 წლიანი ისტორიით, ფართობი მოიცავს 110 ჰექტარს, სადაც სტაბილურად მოგვყავს 1500-1600 ტონა მარცვლეული. ჩვენი მიზანია ვიყოს კონკურენტუნარიანები, მოვახდინოთ თესლბრუნვა. მოგვყავს სოიო, რომელიც აბსოლუტურად ნატურალურია. ჩვენი მიზანია გენმოდოფიცირებული იმპორტის ჩანაცვლება მოვახერხოთ ადგილობრივი ჯანსაღი მარცვლით“,

- აღნიშნავს „ჰარცენბერგ ბროსის“ მენეჯერი ლევან ახვლედიანი.

კომპანია „ჰარცენბერგ ბროსი“ სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების ბენეფიციარია.

ლევან ახვლედიანმა სახელმწიფოს მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ პროექტებსა და პროგრამებში ჩართულობა მნიშვნელოვანი ხელშეწყობა იყო მათთვის. მისი თქმით, მუდმივად სიახლეების ძიება არის მათი საქმიანობის წარმატების წინაპირობა.



სენაკის მუნიციპალიტეტში 5 კილომეტრი სიგრძის სადრენაჟე არხის განმედილი სამუშაოები დასრულდა



შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამეგრელოში აბაშა-ტეხურას დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოები განახორციელა.

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსირში მცენარეებისა და ნატანი მასისგან 5 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური არხი გაიწმინდა.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზარდის. შედეგად, მუნიციპალიტეტში 120 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება აღდგება, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.



შიდა ქართლში 150 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სამელიორაციო ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად ახორციელებს. შიდა ქართლში წყალბრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, ტაშისკარის სარწყავი სისტემის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობს.

ქ.ხაშურის ტერიტორიაზე მცენარეებისა და შლამისგან 8 კილომეტრი სიგრძის

წყალგამანაწილებელი არხი იწმინდება. ექსპლუატაციის პროგრამით ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხში წყლის გამტარუნარიანობა გაიზარდება, რაც 150 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე სარწყავი წყლის მიწოდებას გააუმჯობესებს. აღდგენილი საირიგაციო არხის მეშვეობით ქ.ხაშურისა და 4 სოფლის (ცხრამუხა, ოსიაური, აგარები, გომი) მოსახლეობა ისარგებლებს. სამუშაოები, რომელსაც კომპანია საკუთარი ძალებით ახორციელებს დეკემბერში დასრულდება.



გაიცანი მეცნიერი

ერნა კალანდია

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

„თანამედროვე ეპოქაში ადამიანის ცხოვრების პროგრესული შედეგი მეცნიერების უდიდესი შრომისა და კვლევის დამსახურებაა“



2014-2018 წლებში მუშაობდა მეცხოველეობის, ვეტერინარიის და საკვებწარმოების კვლევის დეპარტამენტში უძველესი „ქართული მთის ჯიშის ძროხის“ პოპულაციების აღდგენისა და გაუმჯობესების პროექტზე, სადაც ფერმერული მეურნეობის პირობებში ახორციელებდა ქართული მთის ძროხის ზოოტექნიკური მაჩვენებლების (სარძეო პროდუქტიულობა, რძის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები, რძის ქიმიური შედგენილობა, ტექნოლოგიური თვისებები) შესწავლას. 2018 წლიდან იგი აგრძელებს ამავე ცენტრის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების სამსახურში მუშაობას ქართული, ტრადიციული რძის ნაწარმის კვლევის მიმართულებით. მისი მონაწილეობით არაერთი პროექტი განხორციელდა და დაინერგა რძის გადამამუშავებელ საწარმოებში.

ქალბატონმა ერნამ, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავების ტექნოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ამავე უნივერსიტეტის რძისა და ხორცის გადამამუშავების ტექნოლოგიის კათედრაზე პედაგოგად დაიწყო მუშაობა. 2008 წლიდან, ერნა კალანდია სოფლის მეურნეობის დოქტორია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის მიმართულებით. 2014 წლიდან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში იკავებს მეცხოველეობის პროდუქტების კვლევის მთავარი სპეციალისტის პოზიციას.

ერნა კალანდია: „სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ორ პროექტზე ვმუშაობთ. პირველი პროექტი გახლავთ „იოგურტის დამზადება სხვადასხვა შემავსებლით“, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი პრობლემების - თავისუფალი შაქრების შემცირებას პროდუქტში. მეორე პროექტი, რომელსაც განსაკუთრებულად აღვნიშნავდი - „შებოლვის პროცესის გავლენა სულგუნში 3,4 ბენზ (ა) პირენის შემცველობაზე“, რომელიც ხორციელდება ლატვიის რესპუბლიკის Institute of Food safety, Animal Health and Environment “BIOR” ლაბორატორიასთან თანამშრომლობით. კვლევის მიზანია სხვადასხვა ხე-მცენარის კვამლით შებოლილ სულგუნში, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უნარიანობაზე საფრთხის შემცველი კანცეროგენის - 3,4 ბენზ (ა) პირენის რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრა“

წლიდან დღემდე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მარკეტინგული საბჭოს წევრი.

ერნა კალანდია: „თანამედროვე ეპოქაში ადამიანის ცხოვრების პროგრესული შედეგი მეცნიერების უდიდესი შრომისა და კვლევის დამსახურებაა. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ერთ-ერთი ფუნქცია თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება და მიღებული კვლევის შედეგების დანერგვის ხელშეწყობაა“

გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, ქალბატონი ერნა პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა სხვადასხვა უნივერსიტეტში; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უძღვება საგნებს: „რძისა და რძის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია“, „რძისა და ხორცის წარმოების ტექნოლოგია“, „მეცხოველეობის საფუძვლები“.

ქალბატონი ერნა კალანდია არის რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე, 56 სამეცნიერო ნაშრომისა და 1 მონოგრაფიის ავტორი, 2 პატენტისა და 6 წიგნის თანაავტორი. 2017 წლიდან დღემდე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, სამეცნიერო საბჭოსთან არსებული გაერთიანებული სადისკუსიო-საკონსულტაციო დარბაზის, ხოლო 2019

ქალბატონი ერნა კალანდია სოფლის მეურნეობის მეცნიერებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ურჩევს, აკეთონ ის საქმე რაც უყვართ და სიამოვნებას ანიჭებთ, არასდროს არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, მიიღონ მაქსიმალური ცოდნა, იყვნენ თავდაჯერებულნი, არ შეუშინდნენ გამოწვევებს, იარონ წინ და უფროსი თაობების გამოცდილების გათვალისწინებით აუცილებლად მიადწევენ წარმატებებს.




სურსათის ეროვნულ სააგენტოს ვეტერინარიის მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტის მართვის ხარისხის სისტემის სერტიფიკატი მიენიჭა

სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ორგანომ „URS“ (UNITED REGISTRAR OF SYSTEMS), სერტიფიცირების პროცესის წარმატებით გავლის შედეგად, მართვის ხარისხის სისტემის ISO 9001:2015-ის სერტიფიკატი მიანიჭა


საერთაშორისო სტანდარტი ადასტურებს მართვის ხარისხის სისტემების მაღალ საფეხურს, სააგენტოს ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრას, მათთან დაკავშირებული

რისკებისა და შესაძლებლობების სწორად მართვას, ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, ისეთი სისტემების ფუნქციონირებას, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს ვეტერინარული ზედამხედველობის სტანდარტებს და შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნებთან. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სტანდარტის, მართვის ხარისხის სისტემის სერტიფიკატი ISO 9001:2015 სურსათის ეროვნულ სააგენტოს 2023 წლის ნოემბრიდან სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიმართულებითაც აქვს მინიჭებული



ადიგენის მუნიციპალიტეტში პროექტი - „ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში - ფაზა II“ შეაჯამეს. პროექტი სლოვენის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, რისთვისაც 2023-2024 წლებში, ჯამში, 563,540 ევრო დაიხარჯა. პროექტი ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ერთად, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა (WWF) და სლოვენური კომპანიების კონსორციუმმა განახორციელა. აღსანიშნავია, რომ მხარეები პროექტის მესამე ფაზის საპროექტო განაცხადზე გააგრძელებენ მუშაობას, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2025 წლიდან განხორციელდება.

სლოვენის დელეგაციის წარმომადგენლები პროექტის პირველი და მეორე ფაზის ფარგლებში განხორციელებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ. პროექტის ფარგლებში, სოფელ მოხეში ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, ხოლო სოფელ კეხოვანში 5 კილომეტრამდე მონაკვეთზე სატყეო-სამეურნეო გზა მოეწყო; ადგილობრივი მოსახლეობის, სლოვენიელი მოხალისეებისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლების მონაწილეობით, სოფელ ნაქურდეში, საზაფხულო ბანაკების ფარგლებში, მოეწყო საფეხმავლო ბილიკები, საპკინკე და საკემპინგე ადგილები. გარდა აღნიშნულისა, პროექტის ფარგლებში არაერთი დონისძიება განხორციელდა შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით: ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლებმა, ადგილობრივმა მოსახლეობამ და პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლებმა სხვადასხვა თემატიკის სასწავლო კურსები გაიარეს; სოფელ ჩორჩანას საქმიან ეზოში ტყეში უსაფრთხო მუშაობის, თანამედროვე ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოყენების დემონსტრირება გაიმართა.





რა კეთდება თბილისის ეროვნულ პარკში

თბილისის სიახლოვეს, უნიკალური ტყითა და სუფთა ჰაერით გამორჩეულ თბილისის ეროვნულ პარკში, ახალი სარეკრეაციო და ეკოსაგანმანათლებლო სივრცეების მოწყობა და მისი ეკოტურისტული მიმართულებით განვითარება მიმდინარეობს, რაც დედაქალაქსა და მის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისთვის განტვირთვისა და დასვენების, ადგილობრივებისთვის კი ტურისტულ ბიზნესში ჩართვისა და ტურისტული სერვისების მიწოდების იდეალური სპეციალუა იქნება.

თბილისის ეროვნული პარკი ვიბიტორთა სიმრავლით წელიწადის ოთხივე სეზონზე გამოირჩევა. თბილისის ცენტრიდან სულ რაღაც 45 წუთში, როგორც კი სოფელ ცხვარიჭამიას გაცდებით, ულამაზეს საბადურის ტყეში აღმოჩნდებით. საბადურის ტყე, რომელიც მსოფლიოს ულამაზესი ტყეების სიაშია შეტანილი, თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს. იშვიათობაა დედაქალაქის გარშემო მდებარე ეროვნული პარკი და ტყის ამხელა მასივი, როგორც საბადურის ტყეა. ეს უნიკალური ტყე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დედაქალაქის ჰაერის გაწმენდას და მას „დედაქალაქის ფილტვებსაც“ უწოდებენ.



სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია თბილისის ეროვნულ პარკში სარეკრეაციო და ეკოსაგანმანათლებლო სივრცეების მოწყობა და მისი ეკოტურისტული მიმართულებით განვითარება, რათა ვიბიტორებს მიეცეთ საშუალება მეტად კომფორტულად იმოგზაურონ ბუნებაში და სასიამოვნო დრო გაატარონ.

ამ მიზანს ემსახურება პროექტი, რომლის ფარგლებში, დაგეგმილია თბილისის ეროვნული პარკის საბადურისა და ზედაზნის უბნებზე საფეხმავლო ბილიკების ქსელის მოწყობა, თანმდევი ტურისტულ-რეკრეაციული და ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურით. პროექტის სავარაუდო ღირებულება 7 500 000 ლარია. აღსანიშნავია, რომ, ამ ეტაპზე, პროექტის დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი და სააგენტოს

საკუთარი სახსრებია. პროექტის ფარგლებში, თბილისის ეროვნული პარკის საბადურისა და ზედაზნის უბნებზე მოეწყობა შემდეგი სარეკრეაციო და ეკოსაგანმანათლებლო სივრცეები:

- ადმინისტრაციული შენობა/ვიბიტორთა ცენტრი
- ადმინისტრაციული კოტეჯი/პერსონალის შენობა
- მარკირებული საფეხმავლო ბილიკების

- ქსელი
- ფანჩატურები
 - მოსასვენებელი სივრცეები
 - საპირფარეოები
 - საკემპინგე/საკარვე ადგილები
 - საბავშვო გასართობი სივრცეები
 - ამფითეატრები
 - საავტომობილო და ველო პარკინგი
 - წყალმომარაგების ქსელი





გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნახშირის უკანონო გამოწვის 115 ფაქტი გამოავლინეს

!!! რა უნდა ვიცოდეთ ხის ნახშირის წარმოებისას



ნახშირის უკანონო გამოწვის გამოვლენის მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლები 24-საათიან უწყვეტ და მკაცრ კონტროლს ახორციელებენ განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც ხშირია ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებლების - ე.წ. სანახშირეების კუსტარულად მოწყობის შემთხვევები

იმ არაერთ ფუნქცია-მოვალეობას შორის, რომელიც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აქვს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ფაქტების სწრაფი გამოვლენა, აღკვეთა და, რა თქმა უნდა, პრევენციაა.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება პრიორიტეტი რომაა, ამას ბოლო წლებში გადადგმული არაერთი ნაბიჯი ადასტურებს.

მაგალითად ის, რომ საწარმოებში დაინერგა ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემა, რომლის საშუალებითაც დეპარტამენტი ჰაერის ყველაზე მსხვილი დამაბინძურებლების მუდმივ მონიტორინგს ახდენს. რეგულარულად მოწმდება ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის ხარისხი, ქვეყნის 4 მსხვილ ქალაქში კი, გზებზე მოძრავი ავტომობილების ხილული გამონაბოლქვის კონტროლი მიმდინარეობს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი სამართალდარღვევების დროული აღკვეთა და პრევენცია, როგორცაა მაგალითად, ნახშირის უკანონო გამოწვა.

როგორია ხის ნახშირის წარმოების ლეგალური გზა და რა ზიანს აყენებს კუსტარული სანახშირე გარემოს

ხის ნახშირის წარმოება მიწაში, კამერალურ რეჟიმში, კუსტარულად მოწყობილ სანახშირეში, გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევით იწვევს მიმდებარე ტერიტორიის დაკვამლიანებას, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას, საფრთხეს უქმნის გარემოს და შესაბამისად - ადამიანის ჯანმრთელობას. ნახშირის უკანონოდ დამზადებისას გამოიყოფა ქიმიური ნივთიერება CO. ნახშირ-ჟანგი ძლიერი საწამლაკია, ორგანიზმში ჟანგბადის მიმოცვლის მოშლას იწვევს და მას სხვადასხვა მწვავე თუ ქრონიკული დაავადების გამოწვევაც შეუძლია. მათ შორის, ყველაზე ხშირია გულსისხლძარღვთა და სასუნთქი გზების დაავადებები. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელ საქმიანობას - ხის ნახშირის გამოწვას კანონი მკაცრად არეგულირებს.

წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში უნდა შეიმუშაოთ და წარუდგინოთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოს. მიწა, რომელზეც ნახშირის წარმოებას აპირებთ, არ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების. ნახშირის წარმოებისთვის კი, აუცილებლად კანონიერად მოპოვებული ხე-ტყე უნდა შეიძინოთ.

წარმოების დაწყებისას, ასევე უნდა გაითვალისწინოთ მოთხოვნები, რომლებიც დადგენილია შესაბამისი გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით. რეგლამენტის მიხედვით, ხის ნახშირის წარმოება დასაშვებია მხოლოდ სტაციონარულ ობიექტში (დანადგარში). ამასთანავე, გაფრქვევის წყაროს სიმაღლე მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 5 მეტრი უნდა იყოს, გაფრქვევის მილის სიმაღლე კი - არანაკლებ 2 მეტრი.

მნიშვნელოვანია დანადგარის განთავსების ადგილის სწორად შერჩევაც. ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, დანადგარი საცხოვრებელი სახლებიდან, საზოგადოებრივი და საჯარო დაწესებულებების შენობებიდან, ასევე პარკებიდან, სკვერებიდან ან/და ბაღებიდან მინიმუმ 300 მეტრის მოშორებით უნდა განთავსდეს.

სტატისტიკა და სანქციები

მიუხედავად იმისა, რომ ხის ნახშირის წარმოების ლეგალური და საკმაოდ მარტივი

გზა არსებობს, სამწუხაროდ, მოქალაქეები ნახშირის გამოწვის აკრძალულ ხერხს არც ისე იშვიათად მიმართავენ. სანახშირეებს კუსტარულად, ნებისმიერ ადგილას ათავსებენ, მათ შორის, საკარმიდამო ეზოებში, დასახლებულ პუნქტებთან ახლოს, ტყეში. მრავალფეროვანია ასეთი სანახშირეების ტიპიც - ბოგი ნახშირის უკანონო გამოწვას მიწაში, ორმოში ახდენს, ზოგიც - რკინის ავზში.

კუსტარულად მოწყობილი სანახშირეები უმეტესად გვხვდება კახეთში, კერძოდ კი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში. მაგალითად, მიმდინარე წელს, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გამოვლენილი ნახშირის უკანონო გამოწვის 115 ფაქტიდან, 114 სწორედ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა. 1 კი, ქვემო ქართლში - ბოლნისის მუნიციპალიტეტში.

გასულ, 2023 წელს, დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხის ნახშირის წარმოებისას გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის 137 ფაქტი გამოავლინეს. მათგან 130 კახეთში დაფიქსირდა - 128 საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, 2 კი - გურჯაანის მუნიციპალიტეტში. შარშან 6 ფაქტი აღკვეთეს მცხეთა-მთიანეთში, თიანეთის მუნიციპალიტეტში, 1 კი - იმერეთში, კერძოდ საჩხერის მუნიციპალიტეტში.

ბოლო წლებში ხის ნახშირის წარმოების მიმართულებით კანონი გამკაცრდა. ადრე, მსგავს სამართალდარღვევაზე ჯარიმა 500-

დან 1000 ლარამდე მერყეობდა, დღეს კი ჯარიმის ოდენობა საგრძნობლად გაზრდილია - მოქმედი კანონმდებლობით, ხის ნახშირის წარმოებისთვის შესაბამისი გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაზე ჯარიმა 1500 ლარია. ამ დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი, სამართალდამრღვევს გაორმაგებული ჯარიმის - 3000 ლარის გადახდა მოუწევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანონო სანახშირეების გამოვლენისას, სამართალდამრღვევებს, ადმინისტრაციული მიწერილობის საფუძველზე, ეზღუდებათ საქმიანობა შესაბამისი დოკუმენტაციის მოწესრიგებამდე და მოთხოვნების შესრულებამდე. ამის შემდეგ კი, რეგულარულად ხდება მონიტორინგი მიწერილობის პირობების შესრულებაზე. მიმდინარე წელს გამოვლენილი სამართალდარღვევების უმრავლესობა მიწერილობის შეუსრულებლობაა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, რეგულირების ობიექტისთვის ქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების (ადმინისტრაციული მიწერილობის) შეუსრულებლობაზე ჯარიმა 10 000 ლარიდან 30 000 ლარამდეა. ამ ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი, სამართალდამრღვევს 20 ათასიდან 60 000 ლარის ჯარიმის გადახდა უწევს.



ლობიოს კულტურის სარეველები



ლობიო (Phaseolus) პარკოსანთა ოჯახის მცენარეა

იგი კულტივირდება მთელ მსოფლიოში. მისი სამშობლოა ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა. ჩვეულებრივი ლობიო (Phaseolus vulgaris) ამერიკიდან ევროპაში შემოიტანეს მე-16 საუკუნეში. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაში და სამეგრელოში ლობიო მე-17 საუკუნიდანაა კულტივირებული. აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მოგვიანებით გავრცელდა, იგი სამარცვლე პარკოსანთა შორის პირველ ადგილზეა. საქართველოში ლობიო ერთ-ერთი ტრადიციული კულტურაა, რომელსაც ჩვენ სამხარეულოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მას იყენებენ როგორც ნედლი პარკის, ისე მწიფე მარცვლის სახით, ლობიოს მწვანე პარკი ფართოდ გამოიყენება საკონსერვო მრეწველობაშიც; მეცხოველეობაში ცხოველთა საკვებად იყენებენ მწვანე მასას, მის სილოსს (სიმინდთან ერთად). ლობიოს მარცვლი შეიცავს 31%-მდე ცილას, 50-60% ნახშირწყლებს, 3,6%-მდე ცხიმს.

ლობიოს ზიანს აყენებენ სხვადასხვა სარეველა მცენარეები: ბურჩხა (Echinochloa crus-galli (L.) R. et Sch.), ერთწლიანი თივაქასრა (Poa annua L.), ჩიტოფეტვა (Phalaris arundinaceae L.), მწვანე ძურწა (Setaria viridis (L.) P. B.), ყვითელი ძურწა (Setaria glauca (L.) P. B.), ჯიჯლაყა (Amaranthus retroflexus L.), საპონელა (Anagallis coerulea Schreb.), ორკბილა (Bidens tripartita L.), წიწმბატურა (Capsella bursa-pastoris (L.) Medic.), ნაცარქათამა (Chenopodium album L.), ლემა (Datura stramonium L.), ნემსიწვერა (Geranium sanguineum L.), გვირილა (Matricaria L.), ჰელიოტროპი (Heliotropium lasiocarpum Fisch. Et Mey.), ყვითელი დოდო (Melilotus officinalis L.), მატიტელა (Polygonum L.), დანდური (Portulaca oleracea L.), გაზაფხულის თავყვითელა (Senecio vernalis W. et K.), მინდვრის მდოგვი (Sinapis arvensis L.), სპერგულა (Spergula L.), ჟუნქურუკი (Stallaria media (L.) Cyr.), თეთრი სამყურა (Trifolium repens L.), ჭინჭარი (Urtica dioica L.), ღორის ბირკა (Xanthium strumarium L.) და სხვა.

ჩიტოფეტვა Phalaris arundinaceae L



მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან; ფესვთა სისტემა - ფუნჯა, ფესურა გრძელი, მხოხავი, მოყვითალო-ყავისფერი; ღერო - სწორმდგომი, შეუბუსავი, გლუვი, სიმაღლით 50-200 სმ; ფოთოლი - მარტივი, ლანცეტისებრი ან ხაზურა, ბოლო წვეტიანი, ქვედა მხარეს შებუსული; ყვავილენი - საგველა, ყვავილი პატარა, მომწვანო, იასამნისფერი ელფერით, ყვავილობს ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე; ნაყოფი - ყავისფერი ან მოყვითალო მარცვალა, სიგრძით 1.7-2.5 მმ, მწიფდება ივლის-აგვისტოში.

მინდვრის მდოგვი Sinapis arvensis L.



ერთწლიანი, ბალახოვანი, ფართოფოთლიანი, შხამიანი სარეველა მცენარეა ჯვაროსანთა ოჯახიდან; ღეროს სიმაღლე 10-100 სმ; ფოთოლი - მჯდომარე, მოგრძო კვერცხისებრი, ყვავილი - ყვითელი; ნაყოფი - ჭოტი, ცილინდრული, შიშველი ან ოდნავ შებუსული, 2-4 სმ სიგრძის; თესლი - მრგვალი, შავი ან მუქი ყავისფერი, გლუვი ზედაპირით, დიამეტრი 1.25-1.75 მმ, აღმოცენების უნარს ინარჩუნებს ნიადაგში 10 წელიწადს, ერთი მცენარე ივითარებს 1200-2000 ცალ თესლს.

სპერგულა Spergula L.



ერთწლიანი, ბალახოვანი, სარეველა მცენარეა მიხაკისებრთა ოჯახიდან, 15-20 სმ სიმაღლის; ფოთლები - ხაზურა; ყვავილები - მცირე ზომის, თეთრი, ყვავილობს ივნისიდან სექტემბრამდე; ნაყოფი - კოლოფი, კვერცხისებრი ფორმის, თესლი 1,1 მმ დიამეტრის, სფერული, ლინზისებურად შეჭყლეტილი, ყავისფერი, მწიფდება ივლისიდან აგვისტომდე; მცენარე უპირატესობას ანიჭებს მჟავა და ტენიან ნიადაგებს.

ჰელიოტროპი Heliotropium lasiocarpum Fisch. Et Mey.



მრავალწლიანი, შხამიანი მცენარეა (მიწისზედა ორგანოები და თესლი) ლამქარასებრთა ოჯახიდან; ღერო - დატოტვილი, 20-50 სმ სიმაღლის; ყვავილები წვრილი, თეთრი, ყვავილობს ივნის-აგვისტოში; ფოთოლი - ელიფსური; ნაყოფი (თესლი) უკუკვერცხისებრი, ოვალური, წვერი მრგვალია, ფუძე - ოდნავ ოვალური, ზედაპირი უსწორმასწორო, ნაცრისფერი, ან მომწვანო-ყავისფერი, თესლის სიგრძე 1.25-1.75მმ; სიგანე 0.75-1 მმ.

ნემსიწვერა Geranium sanguineum L.



მრავალწლიანი, ბალახოვანი, ფესურიანი მცენარეა ნემსიწვერასებრთა ოჯახიდან; ფესურა - გრძელი, ხორცოვანი; ღერო - შებუსული, დატოტვილი, 20-50 სმ; ფოთოლი - მომრგვალო ან თირკმლისებრი, 5-7 ლანცეტა ან ვიწრო ელიფსურ სეგმენტებად გაყოფილი, რომლებიც თავის მხრივ 2-3 ნაწილად იყოფა; ყვავილი - წითელი, საყვავილე ღერძი ერთ ყვავილიანია, ყვავილობს ივნის-ივლისში; ნაყოფი - კოლოფი, ნაყოფს იძლევა ივლისიდან სექტემბრის ბოლომდე.

საპონელა - Anagallis coerulea Schreb.



ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა, განსაკუთრებით შხამიანი ფესვები, რადგან შეიცავს საპონინებს. ფურისელასებრთა ოჯახის წარმომადგენელია. ფესვი - მთავარღერძა, წვრილი; ღერო - მხოხავი, ოთხწახნაგიანი, 5-30 სმ სიგრძის; ფოთლები - მოპირდაპირედ განლაგებული, მჯდომარე, ლანცეტა ან მოგრძო კვერცხისებრი, კიდემთლიანი; ყვავილები - წითელი, ან თეთრი ან ყვითელი, ვითარდება ფოთლის უბესთან, დიამეტრით 10-15 მმ; ნაყოფი - კოლოფი, მომრგვალო, ერთბუდანი, თესლი მცირე ზომის, მწიფდება აგვისტოდან - ოქტომბრის ბოლომდე.

წიწმბატურა Capsella bursa-pastoris (L.) Medic.



ერთწლიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა ჯვაროსანთა ოჯახიდან. ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, მარტივი, დატოტვილი, სიმაღლე 20-60 სმ; ფოთოლი - მორიგეობით განლაგებული, მჯდომარე, მოგრძო-ლანცეტისებრი; ყვავილი წვრილი, თეთრი ფერის, ყვავილობს აპრილიდან აგვისტომდე; ნაყოფი - ჭოტაკი, სიგრძე 5-8 მმ, უკუღმა სამკუთხა-გულისებრი; თესლი - მოყავისფრო-მოყვითალო, ოვალური, ბადისებური ზედაპირით, სიგრძე 1-2.5 მმ, სიგანე 0.5-0.7 მმ, მწიფდება მაისიდან- სექტემბრამდე, ერთი მცენარე იძლევა 70 000 თესლს;

ლემა - Datura stramonium L.



ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა ძალყურძენასებრთა ოჯახიდან, დიდი რაოდენობით შეიცავს ალკალოიდებს; ფესვი - მთავარღერძა, დატოტვილი ძლიერი; ღერო 1.5 მ სიმაღლის; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, კვერცხისებრი, კიდედაკბილული, წვეროში წაწვეტებული, ზედა მხრიდან მუქი მწვანე, ქვედა მხრიდან მონაცრისფრო; ყვავილები ერთეული, კენწრული ან ფოთლის უბესთან განვითარებული, თეთრი, დიდი ზომის, არასასიამოვნო სუნით, ყვავილობს ივლის - აგვისტოში; ნაყოფი - ოთხბუდიანი კოლოფი, დაფარულია ეკლებით, თესლი თირკმლისებრი, გლუვი, შავი, სიგრძე 3-3.5 მმ, სიგანე 1.5-2 მმ, ერთ კოლოფში მწიფდება 500-800 თესლი, ერთ მცენარეზე ვითარდება 25-45 ათასი თესლი.



გვირილა
Matricaria L.



ერთწლიანი ბალახოვანი სარეველა მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან, სპეციფიკური სუნით. ფესვი - მთავარღერძა; ღერო - შიშველი, შეუბუსავი, სიმაღლე 15-60 სმ, ძირიდან დატოტვილი; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, მჯდომარე, ორმაგფრთისებრ დანაკვეთილი; ყვავილედი - კალათა, დიამეტრით 25 მმ; ნაყოფი ცილინდრული თესლურა ოდნავ მოხრილი, გვერდებთან შეჭყლეტილი, წვრილი, ზედაპირი გლუვი, მუქი მწვანე, მასაში მოვერცხლისფრო - ნაცრისფერი, სიგრძე 0.8 - 1.25 მმ. სიგანე 0.2-0.3 მმ, ერთ მცენარეზე ვითარდება 5000 თესლი.

თეთრი სამყურა
Trifolium repens L.



მრავალწლიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა პარკოსანთა ოჯახიდან. ფესვი - მთავარღერძა, დატოტვილი, ვრცელდება 40-60 სმ სიღრმეზე; ღერო - მხოხავი, დატოტვილი, შიშველი; ფოთლები - რთული, სამფოთლოაკიანი, გრძელი ყუნწით, თითქმის სფეროსებური; ყვავილი - თეთრი, ყვავილობს მაისიდან გვიან შემოდგომამდე; ნაყოფი - პარკი, მოგრძო, ბრტყელი, 2-5 თესლით. თესლი გულისებრ-ოვალური, მოყვითალო, ღია ყავისფერი, სიგრძე 1-1.5 მმ, სიგანე 0.75-1.25 მმ, მწიფდება ივნის-ივლისში. ერთი მცენარე იძლევა 1000-10 000 თესლს, რომელიც სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს 2-3 წელს.

ღორის ბირკა
Xanthium strumarium L.



ერთწლიანი, ბალახოვანი, სარეველა მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან; ფესვი - მთავარღერძა; ღერო - სწორი, უხეში, დატოტვილი, მონაცრისფრო-მწვანე ან მოწითალო, შებუსული, 30-120 სმ სიმაღლის; ფოთლები - გულისებრი, 3-5 ნაკვთიანი, კიდედაკბილული, ყუნწიანი, ზემოდან - მწვანე, ქვემოდან - ღია მწვანე, 10 სმ-მდე სიგრძის; ყვავილი - შეკრებილია ფოთლის უბესთან, ყვავილობს ივლის -სექტემბერში; ნაყოფი - მოგრძო-ოვალური, ეკლიანი თესლურა, დიამეტრით 1-2 სმ, მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში.

ჟუნჭრუკი
Stallaria media (L.) Cyr.



მისაკისებრთა ოჯახის წარმომადგენელია; ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა; ღერო - სუსტი, მწოლიარე, ცილინდრული, დატოტვილი, 10 სმ-მდე; ფესვი - ფუნჯა; ფოთლები კვერცხისებური, ბოლოში წაწვეტილებული; ყვავილები მცირე ზომის, თეთრი; ყვავილობს - მაის-აგვისტოში; ნაყოფი - კოლოფი, მოგრძო ფორმის; თესლი - მომრგვალო ან თირკმლისებრი, მუქი ყავისფერი ან მონაცრისფრო-ყავისფერი, სიგრძე 0.75-1.25 მმ. ერთი მცენარე იძლევა 15 000 თესლს, აღმოცენების უნარს 2-5 წლის განმავლობაში.



წყლის ხარისხის მონიტორინგი საქართველოში

წყლის რესურსები ბუნებრივი გარემოს აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. სხვა ძირითად ფაქტორებთან ერთად, ისინი ბუნებრივ კომპლექსებს აყალიბებენ და ამა თუ იმ რეგიონის ეკოლოგიურ და სოციალურ განვითარებას განაპირობებენ. შესაბამისად, წყლის რესურსები არა მარტო ბუნებრივად არსებული გლობალური ცნებაა, არამედ ეკოლოგიური კატეგორიაც.

ბუნებაში, თეორიულად, წყლის რესურსები ამოუწურავია, რადგან რაციონალური გამოყენების დროს, ისინი კვლავ აღდგებიან წრებრუნვის პროცესში. თუმცა წყლის მოხმარება ისეთი ტემპით იზრდება, რომ კაცობრიობის წინაშე დგება ახალი პრობლემა - მომავალში როგორ უზრუნველყოს მათზე

მოთხოვნილება. საქართველო წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აქ წყლის რესურსები არათანაბრად არის განაწილებული და უმეტესად ქვეყნის დასავლეთ ნაწილში თავმოყრილი. ეკოსისტემების მნიშვნელოვან ნაწილს

წარმოადგენს შავი ზღვა. ქვეყნის მდინარეების 75%-ზე მეტი სწორედ შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე მისი სანაპირო ზოლის სიგრძე 320 კმ-ია. ამიტომაც წყლის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად რესურსების სწორი გადანაწილება და ღარიბი აღმოსავლეთ ნაწილის წყლით მომარაგება რჩება.

ქვეყნის მასშტაბით, წყლის რესურსების ხარისხის მონიტორინგი გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას წარმოადგენს. სააგენტოს მიერ, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა წყლის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესების მიმართულებით - ფართოვდება მონიტორინგის ქსელი და იზრდება განსასაზღვრი პარამეტრების რაოდენობა.

აღსანიშნავია, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს სხვადასხვა დარგობრივი დეპარტამენტი უზრუნველყოფს როგორც შავ ზღვაში აკვაკულტურის, მარიკულტურის და მდგრადი მეთევზეობის განვითარების ხელშეწყობას, ასევე, წყლის რესურსების რაოდენობრივ და ხარისხის მონიტორინგს.

სპეციალისტების მიერ მუდმივად ხორციელდება კვლევის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა წყლის ეკოლოგია, ჰიდრობიოლოგია, წყლის ბიომრავალფეროვნება, მეთევზეობა და აკვაკულტურა. ასევე, ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში რეგულარულად ხორციელდება როგორც ზედაპირული და მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის, ისე შავი ზღვის წყლის ხარისხის სინჯები.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, სააგენტოს მიერ, წლის განმავლობაში, ზედაპირული წყლის მონიტორინგი 237 წერტილში, ხოლო მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი, 72 წყალპუნქტზე, მათ შორის, 66 ჭაბურღილზე და 6 წყაროზე ხორციელდება.

რაც შეეხება ჰიდროლოგიური დაკვირვების ქსელის გაფართოებას, ბოლო 10 წლის განმავლობაში, დაკვირვება დაახლოებით 92 წერტილზე მიმდინარეობს.

საქართველოს ზედაპირული და მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის ხარისხის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებგვერდზე www.nea.gov.ge.



მესამე კვარტალში სურსათის უვნებლობის სფეროში დარღვევის მაჩვენებელია 2,9% შეადგინა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში 5854 ინსპექტირება ჩაატარა, მათ შორის, 2347 გვეგური და არაგვეგური, 3507 გადამოწმება; ზედამხედველობა განხორციელდა 128 ბიზნესოპერატორთან; დოკუმენტურად შემოწმდა 1657.

კრიტიკული შეუსაბამობების გამო საწარმოო პროცესი შეუჩერდა 170 ბიზნესოპერატორს, რაც დარღვევის საერთო მაჩვენებლის 2,9%-ს შეადგენს. შემოწმების ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები: სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, სურსათის წარმოება-გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის, ტემპერატურული რეჟიმისა და რეალიზაციის ვადების დარღვევები, ასევე კოროზირებული ინვენტარი, არასათანადო რეცხვა-დეზინფექცია, ხორცი ჯანმრთელობის ნიშნდების გარეშე,



კონდენსატის დაგროვება. აღნიშნული შეუსაბამობების გამო ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ და შეუჩერდათ საწარმოო პროცესი შეუსაბამობების გამოსწორებამდე. შემოწმდა სასურსათო მაღაზიები და მარკეტები, აგრარული ბაზრები, სასაკლაოები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, საბავშვო

ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკები და ა.შ. სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო კონტროლს მთელი ქვეყნის მასშტაბით წლიური პროგრამის შესაბამისად განახორციელებს.

სახელმწიფო კონტროლის შედეგები იხილეთ ბმულზე: <https://nfa.gov.ge/Ge/StateControl>





საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ტერიტორიული სივრცის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მრავალფეროვანია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ცხოველთა და ფრინველთა როგორც ენდემური, ისე სხვადასხვა ქვეყნისთვის დამახასიათებელი სახეობები



გარეული ღორი (*Sus scrofa*)

გარეული ღორი კოსმოპოლიტი სახეობაა, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახეობაა და ანტარქტიდის გარდა, თითქმის ყველა კონტინენტსა და ჰაბიტატში გვხვდება. გარდა ბუნებრივი გავრცელებისა, გარკვეულ ჰაბიტატებში გარეული ღორი ადამიანის ხელოვნური ჩარევითაა გავრცელებული.

სწორედ ასეთი ფართო გავრცელებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ისინი თითქმის ყველა ტიპის ჰაბიტატში ცხოვრებას ეგუებიან. იქნება ეს ჭაობები, ბუჩქნარები და არიდული ტყეები, თუ სუბალპური და ხშირი ფართოფოთლოვანი ტყეები. გარეულ ღორებს განსაკუთრებით მოსწონთ

წყალი და წყლისგან წარმოქმნილი ტალახის აბაზანები. ამიტომ, ჰაბიტატის შერჩევასა, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ტერიტორიებს, სადაც წყლის რესურსი ახლოსაა. როგორც წესი, მდედრი გარეული ღორი მამრზე მცირე ზომისაა. ამ სახეობისთვის დამახასიათებელია ეშვები, რომლებიც მამრს მდედრზე დიდი ზომის ეზრდება და მაშინაც კი შესამჩნევია, როდესაც ცხოველს პირი დახურული აქვს. გარეული ღორების გამრავლება წლის ნებისმიერ პერიოდშია შესაძლებელი. მდედრი, საშუალოდ, 5-6 გოჭს შობს, რომლებსაც გარკვეულ ასაკამდე, სხეული მკვეთრი მოყვითალო-მოთეთრო ლაქებით და ხაზებით აქვთ მოხატული. სოციალური ქცევის თვალსაზრისით, მდედრი გარეული ღორები ერთგვარ ჯგუფებს ქმნიან, ხოლო მამრებს მარტოსული ცხოვრების ნირი ახასიათებთ.




ევროპული შველი (*Capreolus capreolus*)

ევროპული შველი საქართველოში გავრცელებული ერთადერთი შვლის სახეობაა. იგი წყვილჩლიქოსანი ცხოველია, რომელიც გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით: სხეულის სიგრძე დაახლოებით 1.50 მეტრი, ხოლო წონა 10-დან 25 კგ-მდე აღწევს. ისევე როგორც კეთილშობილ ირემს, რქები მხოლოდ მამრ ინდივიდებს უვითარდებათ, რომელსაც ოქტომბერ-ნოემბერში იცვლიან.

შველი საკმაოდ ფართოდ გავრცელებული სახეობაა, რომელიც თითქმის მთელ ევროპაში გვხვდება, გარდა მცირე ზომის იზოლირებული კუნძულებისა. დღეს არსებული მონაცემებით, მსოფლიო პოპულაცია, დაახლოებით, 15 მლნ ინდივიდს ითვლის და ზრდის ტენდენციით

ხასიათდება. საბინადროდ უპირატესობას ანიჭებს მეჩხერ, ფოთლოვან ან შერეულ ტყეებსა და კარგად განვითარებულ ქვეტყეს. შვლის მაკეობა 9 თვეს გრძელდება. მისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში, მდედრი შველი შობს ერთ ან ორ თეთრი ხალეებით სხეულდაფარულ ნაშიერს. ეს არის ოპტიმალური დრო გაჩენისთვის, რაც ზრდის ნაშიერის გადარჩენის შანსებს. კეთილშობილი ირემების მსგავსად, მამრი შველები რქებს შეჯვარების პერიოდში, მდედრი ინდივიდების მოსაპოვებლად, რიტუალიზებული ორთაბრძოლისთვის იყენებენ. ხშირად, ადამიანებს შველი ირმის ნაშიერი ჰგონიათ, თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამება. შველი და ირემი სხვადასხვა სახეობის ცხოველებია და ორივე მათგანის შვილს „ნუკრი“ ეწოდება.

შპვი ზღვის საქართველოს აკვატორიაში ორი სახეობის მედუზა ძირპირა (*Rhizostoma pulmo*) და აურელია (*Aurelia aurita*) გვხვდება



ძირპირა (*Rhizostoma pulmo*)

ძირპირებს მოლურჯო, ქოლგისმაგვარი სხეული აქვთ. ზოგიერთ ინდივიდში ქუდის კიდეები ბოლოვდება მუქი ლურჯი ან იისფერი შეფერილობის ჯიბეებისმაგვარი ქსოვილით, რომელშიც თავმოყრილია გრძნობის ორგანოები. ძირპირებს, საშუალოდ რვა ოვალური საცეცი აქვთ. მათი ქუდის დიამეტრი, დაახლოებით, 40 სმ-მდეა, თუმცა დაფიქსირებული და აღწერილია 150 სმ-იანი ინდივიდიც.

მიუხედავად იმისა, რომ ძირპირა შხამიანი სახეობაა, კანზე შეხებისას მისი დასუსტვა ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, იწვევს მხოლოდ დამწვრობის მსგავს შეგრძნებას. სადაც მედუზა ადამიანს შეეხება. ხშირია ძირპირების მასობრივი გამორიყვის ფაქტები, რასაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. მაგალითად, ძლიერი დინება ან ქარი, წყლის ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება და ა.შ. ზღვაზე დასვენებისას, ხშირად ვხვდებით ძირპირებს წყლის ზედაპირის სიახლოვეს. მათი ყველაზე მაღალი კონცენტრაციაც სწორედ საზღვაო სეზონს ემთხვევა და მისიდან - ოქტომბრამდე გრძელდება.



აურელია (*Aurelia aurita*)

აურელიას ქოლგის დიამეტრი 25-40 სმ-ს შეადგენს. მათი კვების რაციონი პლანქტონები, მცირე ზომის კიბოსნაირები, მოლუსკებს და სხვა ზღვის ორგანიზმების ქვირითია.

მათთვის დამახასიათებელია 4 ნალის ფორმის განედი (ხანდახან გვხვდება 3 ან 5 მსგავსი ნალის არსებობაც), რაც მათ რეპროდუქციულ ორგანოს წარმოადგენს. აურელიას სხეულის შეფერილობა მისი კვების რაციონზე დამოკიდებულია. ის შეიძლება იყოს როგორც გამჭვირვალე, ასევე თეთრი, მოვარდისფრო, მოწითალო და ლურჯიც კი. ამ

სახეობას აქვს 4 გრძელი ფრჩხებიანი საცეცი. აურელია მარტოხელა ცხოვრების წესის მქონე ცხოველია. თუმცა, გარკვეული კვლევებიდან გამომდინარე, მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ქიმიური ნივთიერებების ხარჯზე მათ ერთმანეთთან მარტივი სახის კომუნიკაციის დამყარება შეუძლიათ. გამომდინარე იქიდან, რომ აურელიები სანაპირო ზონებს ანიჭებენ უპირატესობას, ისინი ხშირად ხვდებიან ადამიანებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შხამიანები არიან, მათი დასუსტვა ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.